

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

პრეზუმი СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

7

ივლისი





1. ბრძანება № 411—ტუბერკულოზის მცირე და ყუჩებადი ფორმების ბავშვებისათვის სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელ დაწესებულებებისათა მოწყობის შესახებ 3
2. ბრძანება № 412—ქ. ზეგდიდის; კიათურის და გარდაბნის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 5
3. ბრძანება № 413—ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში უცხო ენების სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ 9
4. ბრძანება № 435—სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 27 აგვისტოს № 762 და 1963 წლის 30/1 № 72 ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ 11
5. ბრძანება № 436—საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოსწავლებლიანი სკოლების IX—XI კლასების იმ მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც სამედიცინო კომისიის მიერ განათვისუფლებულნი არიან მჭიმე ფიზიკური შრომისაგან 14
6. Приказ № 436—о тех учащихся IX—XI классов средних общеобразовательных, трудовых политехнических школ с производственным обучением, которые освобождены от физического труда 16
7. ბრძანება № 438—გახეთ „ხარია ვოსტოკას“ 1863 წლის 18 მაისის № 115-ში გამოქვეყნებული წერილის „ჯაქცევა უხეშთა ტყვეობიდან“ შემოწმების შედეგების შესახებ 18
8. ბრძანება № 492—დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების, პედაგოგიური კაბინეტისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 21
9. ბრძანება № 496—1963 წლის ზაფხულია პერიოდში მუშებისა და მოსამაზებურების ბავშვთა დაკვეთების ორგანიზაცია შესახებ 31
10. ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენაჯის, გაცემის და აღრიცხვის წესას შესახებ 45

რედაქტორი უშ. თბილისი
კორექტორი ე. აგლაძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-63 წელი. ანაწყო-
ბის ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×84. სასტამბო
ფორმათა რაოდენობა 7,5.

შანი 10 კაპ.

შეკვ. № 682.

ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР
Тбилиси, ул. Уш. Чхендзе № 19.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1963 წლის 22 მაისის ბრძანება № 411

ტუბერკულოზის მცირე და უზრუნველყოფილი ფორმებიანი ბავშვები-
სათვის სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა
მოწყობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე-
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ოქტომბრის № 745
დადგენილებით „რესპუბლიკაში ტუბერკულოზით დაავადების
შემდგომი შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს ევალეზობა 1961-1962 წლებში 1005
ადგილიანი 8 სკოლამდელი დაწესებულებისა და 1000 ადგილიანი
სამი სკოლა-ინტერნატის მოწყობა.

ამ დადგენილების შესასრულებლად ქ. თბილისში ორჯონი-
კიძისა და ლენინის სახ. რაიონებში 1961 წლის ბოლოს ახლად
აგებულ შენობებში გაიხსნა სანატორიული ბაგა-ბალები თითო 135
ადგილით. ორივე ბაგა-ბალი დაკომპლექტებულია შესაფერისი კონ-
ტინგენტით და მუშაობენ ნორმალურად.

26 კომისრის სახ. რაიონში გასულ წელს ახლად აგებულ შე-
ნობაში ნაცვლად სანატორიული ბაგა-ბალისა, რაიონის ხელმძღვა-
ნელობის გადაწყვეტილებით, გაიხსნა ჩვეულებრივი ბაგა ბალი

1963 წელს ქ. ქ. ცხინვალში, სოხუმსა და გორში გახსნილ
ბაგა-ბალების აღსაზრდელთა უმრავლესობა პროფილით შეუფერყ-
ბელია სანატორიული ბაგა-ბალისათვის.

ქ. ქ. ბათუმსა და ქუთაისში სანატორიული ბაგა ბალებისათ-
ვის აგებული შენობები უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ. დაკომ-
პლექტებულია შტატით და მოწყობილია საჭირო ინვენტარით,
მაგრამ მუშაობის დაწყება არ ხერხდება შესაფერისი კონტინგენ-
ტით დაუკომპლექტებლობის გამო.

გეგმით გათვალისწინებული სანატორიული სამი სკოლა-ინ-
ტერნატის მოწყობის ნაცვლად, ამჟამად მხოლოდ ერთი სკოლა-
ინტერნატი მუშაობს ბეთანიაში. ტყიბულის სკოლა-ინტერნატის

მშენებლობა ამოღებულ იქნა მშენებლობის გეგმიდან, ხოლო ჯაეის სკოლა-ინტერნატის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 მარტის № 192 დადგენილების — საქართველოს კბ ცენტრალური მითეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ოქტომბრის № 745 დადგენილება ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს ქ. ქ. ბათუმის, გორის, ცხინვალის, სოხუმის და ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. გ. ლორთქიფანიძეს, ი. ჯამბრიშვილს, ა. კოხაევს, ნ. ბოკუჩავას და ი. გენძეხაძეს უზრუნველყონ უახლოეს დროში ახლად აგებულ შენობებში გახსნილი სანატორიული ბაგა-ბაღების დაკომპლექტება.

2. ქ. თელავში ახლად აგებულ ჩვეულებრივ ბაგა-ბაღის შენობაში გაიხსნას სანატორიული ბაგა-ბაღი.

დაევალოს ქ. თელავის განათლების განყოფილებას ამ ბაგა-ბაღის დაკომპლექტება შესაფერისი კონტინგენტით.

3. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე, რათა პრაქტიკული დახმარება გაეწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს ტუბერკულოზით ინფიცირებული ბავშვებით სანატორიული სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების დაკომპლექტების საქმეში.

4. ტყიბულის ნაცვლად სანატორიული სკოლა-ინტერნატი გაიხსნას წალენჯიხაში, ჩვეულებრივი სკოლა-ინტერნატისათვის განკუთვნილ ახლად აგებულ შენობაში.

5. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (უფროსი ვ. ჩინჩალაძე) უზრუნველყოს:

ა) ბეთანიისა და წალენჯიხის სანატორიული სკოლა-ინტერნატების დაკომპლექტება შესაფერისი კონტინგენტით მ/წლის 1 ივლისამდე.

ბ) ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს კოლეგიას მ/წლის ივლისის თვეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ ბანათმშენის სამინისტროს 1963 წლის 22 მაისის ბრძანება № 412

ქ. ქ. ზუგდიდის, კიათურისა და გარდაბნის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. ქ. ზუგდიდის, კიათურის და გარდაბნის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობაში მოპოვებული ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიურ აღმზრდელობითი მუშაობა ზუგდიდის მე-3, მე-11, № 2 ჩაის ფაბრიკის, გარდაბნის რაიონის გლდანისა და ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღებში.

ზუგდიდის მე-3 საბავშვო ბაღის (გამგე ლ. შეროზია) უმცროსა და ჯგუფის აღსაზრდელები მ/წლის 16-დან 20 მარტამდე უმთავაწყუროდ იყვნენ მიტოვებული; ბაღს აკლია დიდაქტიკური სათამაშოები და მასალები, საბავშვო და მეთოდური ლიტერატურა; აღმზრდელები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სწორი მეტყველების ჩვევათა გამომუშავებას ბავშვებში.

ჩაშლილია პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა გარდაბნის რაიონის გლდანისა და ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღებში; მათ გამგეებს თ. ივანიშვილსა და დ. სოხაძეს არ აქვთ სკოლამდელი განათლება და საბავშვო ბაღებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება; ისინი სწორად ვერ ადგენენ სამუშაო გეგმებს, ვერ ახორციელებენ აღმზრდელთა მუშაობაზე კონტროლს და ვერ უწყვენ მათ საჭირო მეთოდურ დახმარებას.

ქ. კიათურისა და გარდაბნის რაიონის საბავშვო ბაღები არა-დამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილნი დიდაქტიკური სათამაშოებით. სამუშაო მასალებით, საბავშვო და მეთოდური ლიტერატურით; დაბალია აღსაზრდელთა კულტურული ქცევის ჩვევები.

სოფ. ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღში ადგილი აქვს თანამშრო-

მელთა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს: მუსიკის მასწავლებელთა ე. მგელაძე უმიზეზოდ სისტემატურად აცდენს სა-
მუშაო საათებს, კვირაში ნაცვლად სამი-ოთხი მეცადინეობისა ის-
თვეში ატარებს მხოლოდ სამ ოთხ მეცადინეობას და მხოლოდ ერთ-
თვეობითაც არ ცხადდება სამუშაოზე. ამავე ბაღში თანამშრომ-
ლებს შორის არაჯანსაღი დამოკიდებულებაა. მზარეული არსენიძე
სამუშაოდან განთავისუფლებული იქნა შრომის კანონის გვერდის
აგლით, მაშინ, როდესაც იგი მორიგ შეგებულებაში ითვლებოდა.
მოუგვარებელია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა. მატერიალუ-
რად პასუხისმგებელ ე. რაზმაძეს საწყობის აღწერის შედეგად აღ-
მოაჩნდა 55 მან. და 59 კაპ. ღირებულების პროდუქტებისა და
რბილი ინვენტარის დანაკლისი. არასწორად და დაუდევრად ტარ-
დება საბავშვო ბაღის ფასეულობათა ინვენტარიზაცია, მომწოდებ-
ელ მაღაზიებიდან მიღებული და სამზარეულოზე გაცემული კვე-
ბის პროდუქტების დოკუმენტაციის შედგენა და დავთრებში გა-
ტარება. ყოველდღიურად არ იწერება მენიუ-მოთხოვნილებანი,
ზოგჯერ ადგილი აქვს ციფრების გადასწორებას.

არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა 1962 წელს საბავშვო
გამაჯანსაღებელი მუშაობა. ბავშვები აგარაკზე გაყვანილ იქნენ
წინასწარი მზადების გარეშე. მათი სია არ იყო შეთანხმებული
განათლების განყოფილებასთან და აგარაკზე გაყვანილ 56 ბავშვი-
დან, მხოლოდ 28 აღსაზრდელი იყო სკოლამდელი ასაკისა. პრო-
დუქტები იწერებოდა 45 ბავშვზე, ფაქტურად იკვებებოდა 56,
აგარაკზე გასულ აღსაზრდელებსა და თანამშრომლებს კვების ფულს
არასწორად ახდევინებდნენ. ამის შედეგად ბავშვები ცუდად იკვე-
ბებოდნენ და ზოგმა მშობელმა ბავშვი ადრე წაიყვანა აგარაკიდან.

ქ. ჭიათურის საბავშვო ბაღების ეზოები არ ზრის კეთილმოწყ-
ობილი, არ აქვთ ყვავილნარი, ბოსტანი და ფიზკულტურული
იარაღები.

ქ. ზუგდიდის, ქ. ჭიათურისა და სოფ. ვაშლაჯვრის საბავშვო
ბაღების აღსაზრდელთა მშობლები დაგვიანებით აღგენენ საბავშვო
ბაღში ცნობებს შემოსავლის შესახებ, რაც აფერხებს ბავშვთა შე-
სანაზი შესატანის სწორად გამოანგარიშებასა და ფულის დროზე
ჩარიცხვას ბანკში.

ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღის მზარეულის ს. არსენიძის მამ-
ხილებელი წერილის საფუძველზე შესწავლილ იქნა ამავე ბაღის
გამგის ქ. ლომთათიძის მიმართ წაყენებული ბრალდებები გარდაბ-
ნის რაიონის განათლების განყოფილების მიერ, რომელმაც ლიბე-
რალური გადაწყვეტილება მიიღო: ქ. ლომთათიძეს გამოეცხადა

სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებული იქნა და კავშირს თანამდებობიდან. საბავშვო ბაღის გამგედ გადაყვანილ იქნა ვაშლია-ჯერის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი დ. სოხაძე (ლომთათიძის რძალი), ხოლო ქ. ლომთათიძე დანიშნულ იქნა სოხაძის მიერ განთავისუფლებულ თანამდებობაზე. საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობის შეცვლას ბაღის მუშაობაში არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. კვლავ გრძელდება აღსაზრდელთათვის განკუთვნილი პროდუქტების არა თავის დანიშნულებით გამოყენება, ანგარიშწარმოება მოუწესრიგებელია, შრომის დისციპლინა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

გარდაბნის რაიონის სოფ. გლდანის საბავშვო ბაღში ჩაშლილია სამეურნეო საქმიანობა. გასულ წელს შეკეთებული სახურავიდან წვიმა ჩამოდის, ადგილი აქვს ანტისანიტარულ მდგომარეობას, აკლიათ ჭურჭელი. ჩაის ჭიქები უქონლობის გამო აღსაზრდელებს ჩაის ასმევენ ნახევარ კილოგრამიანი შუშის ქილებითა და სათამაშო ქვებებით.

ქ. ზუგდიდის საბავშვო ბაღების უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ დაქირავებულ შენობებში, მე-9 და მე-11 საბავშვო ბაღების შენობები უვარგისია. ამასთან ანტისანიტარული მდგომარეობაა ზუგდიდის მე-3 საბავშვო ბაღში (გამგე ლ. შეროზია). შენობა დიდიხნის შეუკეთებელი და ქუჭყიანია, გათბობის ტექნიკური მოწყობილობა მოუწესრიგებელია, ეზო შეუღობავი და მოუწყობელია, აკლიათ ჭურჭელი, რის გამო მეორე კერძს ბავშვებს ლამბაქებით აძლევენ. ზუგდიდის სანატორიული საბავშვო ბაღი (გამგე ლ. შენგელია) დაკომპლექტებულია ჯანსაღი ბავშვებით.

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს ქ. ქ. ზუგდიდის, ქიათურისა და გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ქ. მიქაიას, თ. მოდებაძესა და გ. რაზმაძეს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად;

ბ) დააწესონ სისტემატიური კონტროლი პროდუქტების ხარჯვის, სასაწყობო მეურნეობასა და საბუხვალტრო ანგარიშწარმოებაზე.

გ) მწლის ზაფხულში ჩაატარონ საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, ეზოების შეღობვა და კეთილმოწყობა.

2. ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილებამ ერთი თვის ვა-

დაში უზრუნველყოს სანატორიული საბავშვო ბაღის გადაკეთება ჩვეულებრივ საბავშვო ბაღად, სადღეღამისო ჯგუფის გაფართოების წინებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. გარდაბნის განათლების განყოფილებამ:

ა) გადაახდევინოს ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღის გამგეს დ. სოხაძეს უკანონოდ მიღებული მუსიკის მასწავლებლის ხელფასი 41 მანეთის რაოდენობით და რბილი ინვენტარის დანაკლისი 55 მან. და 59 კაპ. რაოდენობით.

ბ) საფუძვლიანად შეისწავლოს ს. ს. ვაშლაჯვრისა და გლდანის საბავშვო ბაღების მუშაობა და მიმდინარე წლის 1 ივლისამდე წარმოადგინოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ ბაღების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების მიერ ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღის გამგე ქ. ლომთათიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (უფროსი ვ. ჩინჩალაძე) სათანადო ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება ს. ს. გლდანისა და ვაშლაჯვრის საბავშვო ბაღის გამგეების თ. ივანიშვილისა და დ. სოხაძის ამ თანამდებობაზე შემდგომი მუშაობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 22 მაისის ბრძანება № 413

ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში უცხო ენების სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებით დადასტურდა, თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში უცხო ენების შემსწავლელი ჯგუფები ძირითადად სწორად არის დაკომპლექტებული როგორც აღსაზრდელთა კონტინგენტით, ასევე უცხო ენების მკოდნე მასწავლებელთა კადრებით. აქვთ სათანადო დებულება, პროგრამები, დიდაქტიკური სათამაშოები და თვალსაჩინო მასალები. მასწავლებელთა უმრავლესობა უნარიანად მუშაობს და უცხო ენათა სწავლებას წარმართავს სკოლამდელი ასაკისათვის შესაფერი მასალებითა და მეთოდებით.

მიუხედავად ამისა, თბილისის ზოგიერთ საბავშვო ბაღში (მე-10, მე-11, მე-14, 52-ე, 92-ე საბავშვო ბაღები და მე-6 ბაგაბაღი) უცხო ენების სწავლების საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი, ზოგიერთი მასწავლებელი სრულყოფილად ვერ უღობს უცხო ენას, ხოლო მე-14 საბავშვო ბაღის უცხო ენის მასწავლებელთა უმრავლესობას არა აქვს უმაღლესი განათლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტადაა გაცნობილი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თავისებურებებს, ბაღის სააღმზრდელო მუშაობის შინაარსსა და ორგანიზაციას, ამის გამო, მაგალითად, მე-10 საბავშვო ბაღის უცხო ენის მასწავლებლები ტრანკაძე და მაჭავარიანი 5-6 წლის ბავშვებს შესასწავლად აწვდიან რთულ ენობრივ მასალას. საერთოდ უცხო ენების მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ენობრივი მასალის განმტკიცებას ბავშვების მიერ სხვადასხვა საქმიანობასთან კავშირში — თამაშისა, მუსიკალური მეცადინეობისა, სიმღერების შესწავლის პროცესში და ა. შ.

ამასთან ერთად ადგილი აქვს უცხო ენების შემსწავლელი ზოგიერთი ჯგუფის არასწორად დაკომპლექტებას. მე-14 საბავშვო ბაღში ნაცვლად 5-6 წლიანი ბავშვებისა, უცხო ენებს ასწავლიან

4 წლიან ბავშვებსაც. უცხო ენების შემსწავლელი ჯგუფების და კომპლექტებისას არაა გათვალისწინებული ბავშვების მიერ მშობლიური ენის ცოდნა, 52-ე, 98-ე და მე-14 საბავშვო ბალებში სულ ჯგუფებში ჩარიცხულ რუსული ენის უცოდინარ ბავშვებთან ინგლისური ენის მასწავლებელს სამ ენაზე უხდება მეცადინეობის ჩატარება, ხოლო მე-10 და 30-ე საბავშვო ბაღის ინგლისური ენის პედაგოგები არასწორად შერჩეულ მასალას აწვდიან ბავშვებს. უცხო ენის მასწავლებლები მე-14 საბავშვო ბაღში არ მუშაობენ სრული დატვირთვით. ნაცვლად დებულებით გათვალისწინებული ექვს ექვსი ჯგუფისა, თითო ამეცადინებს ერთ ან ორ ჯგუფს.

სკოლამდელი დაწესებულებებისათვის არსებული უცხო ენის პროგრამა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, საბავშვო ბაღები საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი მეთოდური და საბავშვო ლიტერატურით, საჭირო დიდაქტიკური სათამაშოებით, სამუშაო მასალებით და ზოგან პროგრამებითაც, არ არის შექმნილი საბავშვო ბაღების უცხო ენის მასწავლებლების მეთოდური გაერთიანება. რაც მთავარია, უცხო ენების შესწავლისათვის ყველა საბავშვო ბაღი არ არის უზრუნველყოფილი მუშაობის შესაფერისი პირობებით. 98-ე საბავშვო ბაღში საჭირო ფართობის სიმცირის გამო ორი ჯგუფის მეცადინეობა ტარდება თხელი ქსოვილით გადატხარულ, მუსიკალური მეცადინეობის დარბაზში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

დაევალოს სკოლების სამმართველოს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტთან ერთად, შეისწავლოს სკოლამდელ დაწესებულებებში უცხო ენების სწავლების მიზანშეწონილობის საკითხი და წარმოამდგინოს წინადადებანი მ/წლის 1 ივლისამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1963 წლის 29 მაისის ბრძანება № 435

სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 27/VIII № 762 და 1962 წლის 30/I № 72 ბრძანებების შესრულების მდგომარეობის შეხახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები (ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, დუშეთის, თელავის და სხვ.) სერიოზულად მოეკიდნენ სამოქალაქო თავდაცვის სწავლებას. კარგადაა დაყენებული ამ საგნის სწავლება ქ. თბილისის 30-ე (მასწავლებელი ა. გაბათაშვილი), 53-ე (მასწავლებელი გ. შოთაძე), მე-4 (მასწავლებელი ნ. ჩხაიძე), ზესტაფონის რაიონის ჩხარის (მასწავლებელი ნ. დიაკონიძე), ხაშურის მე-2 და მე-3 (მასწავლებელი მ. ტატენაშვილი), წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის (მასწავლებელი დ. ჩიხლაძე) საშუალო სკოლებში.

მაგრამ ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება ჯეროვანი ყურადღებით არ მოეკიდა სამოქალაქო თავდაცვის სწავლებას, რის შედეგადაც ქობულეთის, ბორჯომის და ქ. ფოთის პირველ და მეორე ჩაქვის რაიონის ოჩხამურის, გონიოს, მუხაესტატეს საშუალო სკოლებში 1962-1963 სასწავლო წლის პირველ და მეორე სასწავლო მეოთხედებში სამოქალაქო თავდაცვა არ ისწავლებოდა. ტყიბულის მე-2, ქობულეთის I, ლანჩხუთის I, II და III, ლენინგორის რაიონის სოფ. იკოთის, თელავის რაიონის დუი-სისა და წინანდალის, თიანეთის რაიონის სოფ. ლულელების, ხაშურის რაიონის ახალდაბის, ბორჯომის I, გეგეპკორის რაიონის სოფ. სეფიეთის, ქ. ზესტაფონის I და II, ლაგოდეხის რუსულ, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. როხისა და წითელ ხევის, ზუგდიდის რაიონის სოფ. ოქტომბრის, სიღნაღის რაიონის სოფ. არბოშიკისა და ქ. თელავის მე-5 საშუალო სკოლებში სამხედრო კაბინეტები გააუქმეს. წყალტუბოს რუსული საშუალო სკოლის ცხრილში სამოქალაქო თავდაცვა არაა შეტანილი.

რიგ სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლებს საქ-

ლასო ჟურნალებში არ შეაქეთ ჩატარებულ მეცადინეობათა აღრიცხვა.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეობები იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებზე სამოქალაქო თავდაცვის საწავლებლებს და არ უწყევენ მათ პეტოდურ დახმარებას. სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლები გაკვეთილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებას (სასწავლო პლაკატები, ხელსაწყოები, სტენდები, დიაფილმები).

სახალხო განათლების განყოფილებებს დღემდე არ დაუწყარებიათ საქმიანი კავშირი დოსაფისა და წითელი ჯვრის ადგილობრივ კომიტეტებთან, სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზემოაღნიშნული ბრძანებები „სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების შესახებ“ დღემდე არაა დაყვანილი თითოეულ საშუალო სკოლამდე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო თავდაცვის სწავლებას სკოლებში, რისთვისაც განათლების განყოფილების ერთ-ერთ ინსპექტორს ბრძანებით დაავალონ ამ საგნის ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) დაამყარონ საქმიანი კავშირი ადგილობრივ სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან, დოსაფისა და წითელი ჯვრის კომიტეტებთან და სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობის შემოწმებისას შექმნან კომპლექსური კომისიები ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით; შემოწმების შედეგები მოისმინონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

გ) მითითება მისცენ სკოლებს, რათა სამოქალაქო თავდაცვა შეიტანონ სკოლის ცხრილში, ხოლო სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლებმა ჩატარებული გაკვეთილების აღრიცხვა აწარმოონ საკლასო ჟურნალებში;

დ) ქ. ფოთის, ბორჯომის, ჩაქვისა და ტყიბულის განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სასწავლო წლის დამთავრებამდე უზრუნველყონ ყველა სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის პროგრამის სრულად გავლა.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ სამოქალაქო თავდაცვის სწავლებაზე; გაზარდონ მომთხოვნელობა სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლებისადმი, მათზე სათანადო მეთოდური დახმარების გაწევით უზრუნველყონ სთ გაკვეთილების სწორი მეცადინეობათა სწორი ორგანიზაცია და მიაღწიონ სთ გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესებას;

ბ) ა/წლის 1 ლ იელისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლის ყოფ. სამხედრო კაბინეტები, ხოლო იმ სკოლებში, სადაც ასეთი გაუქმებული იქნა, დაუყოვნებლივ აღადგინონ და გადააკეთონ სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტებად;

გ) მოსწავლეთა სთ სწავლების საკითხი სისტემატურად მოისმინონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე;

დ) ამ საგნის სწავლებისათვის უზრუნველყონ ნორმალური პირობების შექმნა: შეიძინონ ტაბელით გათვალისწინებული სასწავლო ხელსაწყოები და ქონება.

ე) სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლება ქალაქის საშუალო სკოლებში გაითვალისწინონ სკოლის ცხრილში საწარმოო სწავლების ერთ-ერთ დღეს.

3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ყველა ქალაქისა და რაიონის საშუალო სკოლების დირექტორების, სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბების უფროსთა, დოსაათისა და წითელი ჯვრის ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეთა გაერთიანებულ თათბირებზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენებითი ბარათი წარედგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 25 ივნისისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 24 მაისის დადგენილება...

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების საშინისტროს
1963 წლის 29 მაისის ბრძანება № 436

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლეებიანი სკოლების IX-XI კლასების იმ მოსწავლეთა შეხახებ, რომლებიც სამედიცინო კომისიის მიერ განთავისუფლებულნი არიან მძიმე ფიზიკური შრომისაგან

გავეცანი რა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლეებიანი სკოლების IX-XI კლასების მოსწავლეთა სამედიცინო კომისიების დასკვნის საფუძველზე განთავისუფლების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი სკოლის IX-XI კლასების მოსწავლეებს სამედიცინო კომისია ერთბაშად ათავისუფლებს ფიზიკური შრომისაგან. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში განთავისუფლებულია IX-XI კლასების 10 მოსწავლე, 25-ე საშუალო სკოლაში—5 მოსწავლე და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც სკოლის ადმინისტრაცია უყურადღებოდ ეყიდება ასეთ მოსწავლეებს, არ ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობის სრულ შემოწმებას, არ სარგებლობს მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ სკოლაში არსებული ცნობებით და ამ მოსწავლეებს არ ურჩევს შესაფერ პროფესიას. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ სკოლაში თვითნებურად გაათავისუფლეს მოსწავლე საწარმოოსწავლეებისაგან და არ შეურჩიეს სათანადო პროფესია.

საწარმოოსწავლეებიან სკოლებში სამედიცინო კომისიის მიერ განთავისუფლებულ IX-XI კლასების მოსწავლეთა საწარმოოსწავლეების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილებით გათვალისწინებული მე-11 პუნქტის განუხრელად შესრულება;

ბ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოსწავლებიანი სკოლის IX-XI კლასების მოსწავლეებს, რომლებიც სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე განთავისუფლებული არიან ფიზიკური შრომისაგან, მიეცეს სპეციალური სკოლაში გადასვლის შესახებ, სადაც ისწავლება მათთვის საინტერესო არამწარმოებლური დარგის სპეციალობა. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოუხერხებელია, ნება მიეცეთ სკოლებს შეასწავლონ ამ კატეგორიის მოსწავლეებს ინდივიდუალური წესით მათი ჯანმრთელობისათვის შესაფერისი სპეციალობა სკოლასა ან საწარმოში:

გ) აეკრძალოთ განათლების განყოფილებების გამგეებსა და სკოლების დირექტორებს მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისაგან მთლიანად განთავისუფლება.

2. საქართველოს სსრ საგეგმო-საფინანსო სამმართველომ, განათლების ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნების შესაბამისად, გაითვალისწინოს ბიუჯეტში ინდივიდუალური წესით პროფესიის შესწავლისათვის სათანადო ხარჯები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 436
ОТ 29 МАЯ 1963 ГОДА

О тех учащихся IX-XI классов средних общеобразовательных, трудовых политехнических школ с производственным обучением, которые освобождены от физического труда

Ознакомившись с материалами медицинских комиссий об освобождении учащихся IX-XI классов средних общеобразовательных трудовых политехнических школ с производственным обучением, отмечаю, что учащиеся IX-XI классов некоторых школ медицинские комиссии одновременно освобождают от физического труда; так например, в Тбилисской 18-ой средней школе освобождены 10 учащихся IX-XI классов, в 25-ой средней школе—5 учащихся и т. д. Имеются отдельные случаи, когда администрация школы невнимательно относится к таким учащимся, не производит полный осмотр здоровья учащихся, не пользуется имеющимися в школе данными о состоянии здоровья учащихся, и этим учащимся не подбирают профессии. Нужно отметить и то, что в некоторых школах самовольно освободили учащихся от производственного обучения и не подобрали им соответствующую профессию.

С целью изжития, имеющихся недостатков в деле производственного обучения учащихся IX-XI классов школ с производственным обучением, освобожденных медицинской комиссией,

П р и к а з ы в а ю

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, Зав. ОНО юго-Осетинской А/О, заведующим районными (городскими) отделами народного образования:

а) обеспечить неуклонное выполнение II пункта Постановления Совета Министров Грузинской ССР за № 470, от 24 июля 1961 г.

б) учащимся IX-XI классов средних общеобразовательных,

трудоу, политехнических школ с производственным обучением, которые освобождены на основании заключения медицинской комиссии от физического труда, дать им совет о переходе в те школы, где изучаются производственные специальности. Если это становится невозможным, в таких случаях разрешить школам обучить учащихся этой категории в индивидуальном порядке соответствующей их здоровью специальности в школе или на производстве;

в) запретить зав. отделам народного образования и директорам школ полное освобождение учащихся от производственного обучения.

2. Планово/финансовому Управлению Министерства просвещения Грузинской ССР предусмотреть в бюджете соответствующие расходы на изучение в индивидуальном порядке профессии.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 10 мая 1963 года.

Министр просвещения
Грузинской ССР Т. Лашкарашвили



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1963 წლის 29 მაისის ბრძანება № 438.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1963 წლის 18 მაისის № 115-ში
გამოქვეყნებული წერილის „ვაქცევა უხეშთა ტყვეობიდან“
შეშორების შედეგების შესახებ

აღენიშნავ, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1963 წლის 18
მაისის № 115-ში გამოქვეყნებული წერილი „ვაქცევა უხეშთა
ტყვეობიდან“, რაც სიღნაღის რაიონის დაბა წითელწყაროს სკო-
ლა-ინტერნატის მუშაობას ეხება, ადგილზე შემოწმებით დადას-
ტურდა.

წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის მეოთხე კლასის აღსაზრ-
დელმა ს. სარქისიანმა მ/წლის 6 აპრილს მეორე საუბრის დროს
გატეხა თეფში, რის გამოც მასწავლებელმა ი. ი. გრეჩკინმა მოს-
წავლეს ს. სარქისიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენა (ხელით შე-
ეხო და ფეხი ჰკრა). ამის გამო აღსაზრდელი სარქისიანი ინტერ-
ნატიდან გაიქცა და 17 აპრილამდე არ დაბრუნებულა. სკოლა-ინ-
ტერნატის დირექციამ აღსაზრდელის ძებნას ადგილზე მოანდომა
3 დღე და 10 აპრილს გაუგზავნა დეპეშა შშობლებს ქ. თბილისში;
გამოირკვა, რომ ბავშვი იმყოფებოდა მათთან და მ/წლის 17 აპ-
რილს იგი დააბრუნეს ინტერნატში.

მოსწავლეს ს. სარქისიანი, რომელიც დედის თხოვნით ქ. თბი-
ლისის № 5 სკოლა-ინტერნატიდან იყო გადაყვანილი წითელწყა-
როს სკოლა-ინტერნატში, უდისციპლინობას იჩენდა, ქურდობაშიც
იყო შემჩნეული, ამხანაგებისა და უფროსებისადმი უხეშ დამოკიდე-
ბულებას იჩენდა და აკადემიურადაც ჩამორჩენილი იყო, მაგრამ არც
ქ. თბილისის № 5 სკოლა-ინტერნატს და არც წითელწყაროს სკო-
ლა-ინტერნატს არავითარი სააღმზრდელო ღონისძიება არ აქვთ გა-
ტარებული ამ, ვითომდა გამოუსწორებელი მოსწავლის მიმართ.

სკოლა-ინტერნატის დირექციამ მასწავლებელ ი. გრეჩკინს
მოსწავლეს ს. სარქისიანის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მ/წლის
22 აპრილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, მაგრამ ი. გრეჩკინის

ეს უმსგავსო საქციელი პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საფუძველზე არ გაუხდია და განათლების განყოფილებისათვის არაფერი უკანა-ბეზია.

შემოწმებამ ცხადყო, რომ წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა ცხოვრებისა და აღზრდისათვის არაა შექმნილი ნორმალური პირობები, არაა დამთავრებული გარე ქსელების კომუნიკაციების სამუშაოები, რის შედეგადაც აბანო, სამრეცხაო და სანიტარული კვანძები დღემდე უმოქმედოდაა. სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლად დაყენებული მოსწავლეთა საექიმო-სანიტარული მომსახურება. მ/წლის 24 აპრილს დღისით საძინებელ კორპუსში იწვნენ ავადმყოფი აღსაზრდელები ნონა კორჩაგინა, ნინა კოკოვეი, ვიქტორ ტუხაშვილი, ზინა ჩაჩანოვა და სხვები. ამავე დღეს იზოლატორში მოთავსებული იყო მოსწავლე ვახტანგ ბორისენკო, რომელიც დაავადებული იყო ზემო სასუნთქი გზების კატარით. ეს და სხვა მსგავსი შემთხვევები სკოლა-ინტერნატის ექიმ ნ. პავლიაშვილს აღრიცხული არა აქვს. სკოლა-ინტერნატში არაა შემოღებული იზოლატორისა და ინფექციურ დაავადებათა ჟურნალი. არ ზღდება ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების აღრიცხვა და ავადმყოფების იზოლაცია. არაზუსტი აღრიცხვით 1963 წლის I იანვრიდან ინტერნატში ადგილი ჰქონდა წითელით დაავადების 9 შემთხვევას და ყბაყურით დაავადების 5 შემთხვევას.

ინტერნატში დარღვეულია კვების კალორაჟი. ანტისანიტარულ მდგომარეობაშია საპირფარეოები, მოუგვარებელია ეზოში ხელსაბანების მოწყობის საქმე და სხვა.

სკოლა-ინტერნატის ახლოს მოთავსებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს რუსთავში გასაგზავნი კირქვის დასატვირთი მოედანი. ავტო და მტვირთავი მანქანების ხმაური ხელს უშლის ინტერნატის მუშაობას და ქარიან ამინდში მტვრით ივსება შენობა. ინტერნატის წინ გახსნილ სასადილოდან ინტერნატში ისმის ხმაური და აღსაზრდელები არასასურველ საუბარს ისმენენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაველოს სიღნაღის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ე. დალაქიშვილს:

ა) სათანადო წესების დაცვით მოხსნას სამუშაოდან აღსაზრდელ ს. სარქისიანის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის წითელი წყაროს სკოლა-ინტერნატის მეოთხე კლასის მასწავლებელი ი. ი. გრეჩკინი და სააღმზრდელო მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და აღსაზრდელთა მიმართ უსულგულო დამოკიდებუ-

ლებისათვის ამავე კლასის აღმზრდელები ი. ჯალიაშვილი და ზ. მოშკინა.

ბ) სასწავლო წლის ბოლოს გადასინჯოს სკოლა-ინტერნატის პედაგოგთა შემადგენლობა და განამტკიცოს პედ. კოლეგიაში ინტერნატის ლიფციური მასწავლებლებით.

2. საექიმო-სანიტარული მომსახურების არაღამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის სკოლა-ინტერნატის ექიმი ნ. პავლიაშვილი განთავისუფლდეს სამუშაოდან. დაევალოს სკოლა-ინტერნატის დირექციას მკაცრი სასჯელი დაადოს ექიმის თანაშემწე ნ. გონაშვილს.

3. წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის დირექტორს ს. გოგოშვილსა და უფროს აღმზრდელ გ. ტოკლიეშვილს სასწავლო-სა-აღმზრდელი მუშაობაზე არაღამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და ინტერნატში შიდა კონტროლის შესუსტებისათვის გამოეცხადოთ საყვედური და გაფრთხილებულნი იქნენ, თუ უახლოეს ხანში არ გამოასწორებენ მუშაობას, მოხსნილი იქნებიან თანამდებობიდან.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის ახლომდებარე რუსთავეში გასაგზავნი კირქვის დასატვირთავი მოედნის გადაადგილება.

5. ეთხოვოს სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს უზრუნველყოს წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის წყალსადენისა და გარეკანალიზაციის სამუშაოების დამთავრება მიმდინარე წლის მეორე კვარტალში და გააუქმოს ინტერნატის წინმდებარე სასადილო, ხოლო სასადილოს შენობა გადასცეს კუთვნილებისამებრ სკოლა-ინტერნატს.

6. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 24 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 18 ივნისის ბრძანება № 492

დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების,
პედაგოგიური კაბინეტისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-
აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების, პედაგოგიური კაბინეტისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, დუშეთის რაიონის სკოლების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებისა, მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისა და სხვა დარგში.

რაიონის განათლების განყოფილება და სკოლების ხელმძღვანელები საჭირო ღონისძიებებს არ ატარებენ სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით უზრუნველყოფისა და მათი კეთილმოწყობისათვის; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფას; არადაამაკმაყოფილებლ მდგომარეობაშია რაიონის სასკოლო ინტერნატები, მათში სათანადო სიმაღლეზე არ დგას სააღმზრდელო მუშაობა და ინტერნატში მყოფ მოსწავლეთა მოვლასა და საცხოვრებელ პირობებზე სადღეღამისი ზედამხედველობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებით ბარათი განსახილველად და საჭირო ზომების მასალებად გადაეგზავნოს დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებას.

2. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. ბალხაიშვილი) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლებზე და ამ ბრძანების შესრულების შედეგებზე მოხსენებითი

ბარათი წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს 1963 წლის 20
სექტემბრამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1963 წლის 24 მაისის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ოზოლაძე



საქართველოს ხსრ განათლების მინისტრს
ა.მ.ხ. თ. ლაშქარაშვილს

გოხსენებითი ბარათი

დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების,
პედაგოგიური კაბინეტისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-
აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თქვენი დავალებით მიმდინარე წლის მაისში შემოწმებული იქნა დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების და რაიონული პედაგოგიური კაბინეტის საქმიანობა და ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი გარკვეულ მუშაობას ეწევიან სკოლებზე ხელმძღვანელობის და კონტროლის განხორციელებისა და მასწავლებელთა საქმიანობაზე მეთოდური დახმარების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

რაიონის განათლების განყოფილებას და პედაგოგიურ კაბინეტს აქვთ სამუშაო გეგმები, რომელთა მიხედვით საკითხები მზადდება და იხილება როგორც სახალხო განათლების საბჭოს, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე. მიღებული ღონისძიებები კონკრეტულია. პედაგოგიური კაბინეტის ხელმძღვანელობით რაიონის მასწავლებლები ყოველწლიურად მონაწილეობენ პედაგოგიურ კითხვაში.

რაიონის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებიდან 1962-63 სასწავლო წელს განათლების განყოფილებას, პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად, კომპლექსურად შემოწმებული აქვს 90 სკოლა. ამასთან, სკოლების მუშაობა პერიოდულად მოწმდება თემატურადაც.

კარგად მუშაობს სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების ერთი ნაწილი. ისინი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ საქმეს და კარგ შედეგს აღწევენ.

ასე, მაგალითად, ანანურის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ბარჯაძე, სასწავლო ნაწილის გამგე მ. მაჭავარიანი) კარგადაა დაწყებული საყოველთაო-სავალდებულო განათლების განხორციელება ბის საქმე. აქ არ არის მოსწავლეთა განთესვის ან სასკოლო კის ბავშვთა სკოლის გარეთ დატოვების არცერთი შემთხვევა. მაგალითად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე. ამ სკოლის I-IV კლასების მოსწავლეთა მოსწრება III მეოთხედისათვის 100% უდრის, ხოლო მთლიანად—სკოლისა—90%-ს.

სკოლაში კარგადაა დაწყებული მეთოდური მუშაობა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, უკეთესი ზერხებისა და მეთოდების გამოიხატვისათვის მასწავლებლები ხშირად იკრიბებიან და იხილავენ ისეთ საკითხებს, რომლებიც საჭირო და სასარგებლოა მათი მეთოდური დახელოვნებისათვის. ამასთან, სკოლაში ხშირია მასწავლებელთა ვაკეეთილებზე ურთიერთდასწრება და შედეგების კოლექტიური გარჩევა. სისუფთავე და წესრიგია საკლასო ოთახებსა და სკოლის გარემოში. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა და სამედიცინო მომსახურება. ანალოგიური მდგომარეობაა მჭადიჯვრის საშუალო სკოლაში.

შემოწმებულ სკოლებში მასწავლებელთა დიდი ნაწილი კეთილსინდისიერად ემსახურება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს, ტარდება ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც პასუხობენ სკოლის სადღეისო ამოცანებს. კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ე. ალანია და ე. ზოტიკიშვილი (ანანურის საშუალო სკოლა), თ. ოჩიგავა (მჭადიჯვრის საშუალო სკოლა), კ. დიდებაშვილი (ბაზალეთის რვაწლიანი სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ე. ოსაძე და გ. მიქელოვა (მჭადიჯვრის საშუალო სკოლა), თ. დანილოვი (ანანურის საშუალო სკოლა); გერმანული ენის მასწავლებელი გ. ზურაბაშვილი (ანანურის საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებელი რ. ნასყიდაშვილი (მჭადიჯვრის საშუალო სკოლა), ფიზიკის მასწავლებელი ო. ოთარაშვილი (დუშეთის I საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებლები ე. ზანდუკელი (დუშეთის I საშუალო სკოლა), გ. კაჭარავა (ანანურის საშუალო სკოლა). ისინი ყოველთვის წინასწარ ამზადებენ ვაკეეთილებისათვის აუცილებელ ხელსაწყო-იარაღებსა და მასალებს და საჭიროების მიხედვით ატარებენ ცდების დემონსტრირებას და ლაბორატორიული ხასიათის სამუშაოებს, ზრუნავენ მისცენ მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, გამოიმუშაონ მათში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

მიუხედავად აღნიშნულისა, დუშეთის რაიონის განათლებას განყოფილებას, პედაგოგიურ კაბინეტს და შემოწმებულ სკოლებს აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სკოლის ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმას და სიზუსტეს მების შედგენისას. 1962-1963 სასწავლო წლის გეგმით სწავლებაში უნდა ჩაბმულიყო 13330 მოსწავლე, 1962 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით სკოლებში ირიცხებოდა 13147 მოსწავლე — 183 მოსწავლით ნაკლები, ხოლო I კლასში, არაზუსტი აღრიცხვის შედეგად, ნაცვლად 1484 მოსწავლისა, ჩაირიცხა 1691 ბავშვი — 207 ბავშვით, მეტი.

პედაგოგიური კაბინეტი სკოლებს ჯერ კიდევ ვერ უწევს საჭირო მეთოდურ დახმარებას. ყველა სკოლას არა აქვს მიღებული მითითებანი სასკოლო მუშაობის დაგეგმვის, ძირითადი სასკოლო დოკუმენტებისა და მეთოდური მუშაობის წარმოების, გაკვეთილის ორგანიზაციისა და სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც პედაგოგიური კაბინეტის მითითებებით უნდა მუშავდებოდეს. მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არ არიან ყველა საჭირო დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით. იშვიათად ხდება მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლებლები ა. საძაგლიშვილი და ს. ჩხეიძე (ქობორტის საშუალო სკოლა), ნ. დინუაშვილი (მჭადიჯვრის საშუალო სკოლა), ე. ფოლოდაშვილი (ბაზალეთის 8 წლიანი სკოლა) და სხვ. აღნიშნული სკოლების მოსწავლეებმა სუსტად იციან მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და საერთოდ სასწავლო მასალა, ქართული ენის გრამატიკის საკითხები გაზეპირებული აქვთ და არ შესწევთ უნარი გამოიყენონ ის წერის ან მეტყველების დროს.

ქობორტის, მჭადიჯვრის და დუშეთის I საშუალო, ბაზალეთისა და აბანოსხევის რვაწლიანი სკოლებში დაბალია წერითი მეტყველების კულტურა. ამ სკოლების მასწავლებლები არ იცავენ წერითი მუშაობის სახეებს, უყურადღებოდ ასწორებენ წერით ნაშრომებს, შეუნიშნავად სტოვებენ მრავალ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სტილისტიკურ, სინტაქსურ და ფაქტობრივ შეცდომებს, მოსწავლის ნაშრომს კი დაუმსახურებლად ათასებენ მაღალი ნიშნით. მაგალითად, ბაზალეთის რვაწლიანი სკოლის ერთი მოსწავლის ნაწერში მასწავლებელ ე. ფოლოდაშვილს შეუნიშნავს 12 შეცდომა და ნაშრომი შეუფასებია „4“-ზე, ნაწერის გულდასმით გასწორების შედეგად დამატებით 10-ზე მეტი შეცდომა აღმოჩნდა.

დაბალ დონეზე დგას რუსული ენისა და ლიტერატურის სწავ-

ლება აბანოსხევის (მასწავლებლები ი. კრასნოვა, თ. კედელაშვილი) და ბაზალეთის (მასწავლებელი ვ. სოროკინა) რვაწლიან სკოლებში/ მასწავლებლები ახალი მასალის ახსნას და მის განმტკიცებლად ვითილზე მცირე დროს უთმობენ, მოსწავლეებს ნაკლებადაა დაუშვავებენ ბენ ლექსიკურ მასალაზე, რის შედეგადაც მათ ზოგიერთი ტექსტი მეტანიკურად აქვთ გაზემირებული; გულმოდგინედ არ ასწორებენ საკლასო და საშინაო რვეულებს და მოსწავლის ნაწერს დაუშვავებულად მალალი ნიშნით აფასებენ.

გერმანული ენის სწავლება ნაკლოვანებებით ხასიათდება მჭადიჯვრის საშუალო (მასწავლებელი გ. მიქელოვა) სკოლაში. ამ სკოლის VI კლასის მოსწავლეებს უძნელდებათ კითხვა, სუსტად იციან გავლილი მასალა, არ ძალუძთ სწორად ააგონ წინადადება. მეტყველების დროს ვერ იყენებენ გავლილ გრამატიკულ წესებს, დაბალია წერის კულტურა. აბანოსხევის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელ ვ. წიკლაურს აკლია პედაგოგიური დახელოვნება; ახალ მასალაზე ვარჯიშს მცირე დროს უთმობს, რის გამოც მოსწავლეები პროგრამული მასალის უცოდინარობას ამტკიცებენ.

ზოგიერთ სკოლაში არადაამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა. კომპორტის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი შ. მალალაშვილი) ვერ ახერხებენ გაზის მდგომარეობის დამახასიათებელ პარამეტრებს შორის დამოკიდებულების გრაფიკულად გამოსახვას. მჭადიჯვრის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს უძნელდებათ ზუსტად განმარტონ ფიზიკური ცნებანი, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ფორმულების ფიზიკურ შინაარსზე. ბულაჩაურის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებს (მასწავლებელი ა. ჯალმაიძე) არ შესწევთ უნარი ამოხსნან უმარტივესი ამოცანები სხეულის სიგრძის, მოცულობისა და წონის გაზომვებთან დაკავშირებით, ხოლო VIII კლასის მოსწავლეები ვერ აღგენენ ელწრედის სქემებს. რვაწლიანი სკოლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფიზიკის ახალი პროგრამის შესაბამისად ოპტიკის, რადიოტექნიკისა და ატომის აგებულების სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, დიაპოზიტელებით და ტაბულებით კაბინეტების შევსებას. მჭადიჯვრის საშუალო და ბულაჩაურის რვაწლიან სკოლებს არა აქვთ დენის წყარო, რის გამოც ვერ ტარდება ელექტროდენთან დაკავშირებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. მოსწავლეები იშვიათად ვარჯიშობენ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებაზე, ფოტოსაქმის, კინო და საპროექციო აპარატის შესწავლაზე.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში დაბალია მოსწავ-

ლეების მომზადების დონე მათემატიკურ საგნებში. ჭობორტის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი შ. საძგელი) არ იციან მარტივი გეომეტრიული ამოცანების, ორწახნაგა კუთხის ხაზოვანი კუთხე და მისი აგება, ასევე დებათ მარტივი ტრიგონომეტრიული განტოლებების ამოხსნა. მკადიჯვრის საშუალო სკოლის IX-X კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებელი ვ. ხარანაული) სუსტად იციან ტრიგონომეტრია, მათ არ შეუძლიათ კუთხის რადიალური ზომა გადაიყვანონ გრადუსულ ზომაზე და პირიქით. ისინი ვერ ერკვევიან ტრიგონომეტრიული ფუნქციების ცვალებადობის საზღვრებში და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ანანურის საშუალო სკოლაში. ბაზალეთის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ს. სამაშვილი) არ იციან კვადრატული სამწევრის ხაზოვან მამრავლებად დაშლის ფორმულები და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბიოლოგიის სწავლება მკადიჯვრის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ც. ახალაძე ვაკეითილებს თვალსაჩინოების გარეშე ზეპირსიტყვიერად ატარებს, უგულებელყოფს სადემონსტრაციო ცდებს და ლაბორატორიულ შეცადინებობას. ამ სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა ცუდად იციან მცობხნავი ცხოველების კუჭის აგებულება, ცხოველთა კლასიფიკაცია, უმაღლეს ძუძუმწოვართა უმნიშვნელოვანესი რიგები და სხვ. ზოგიერთი მოსწავლე ვერ ასახელებს წყვილჩლიქიან და კენტჩლიქიან შინაურ ცხოველებსაც კი. ანალოგიური მდგომარეობაა ბაზალეთის რვაწლიან სკოლაში (მასწავლებელი ს. ვარსიმაშვილი), სადაც საბროგრამო მასალაში თითოეულ კლასში 6-8 საათით ჩამორჩენაა.

რაიონის განათლების განყოფილება, სკოლების ხელმძღვანელები და ბიოლოგიის მასწავლებლები საჭირო ღონისძიებებს არ ატარებენ სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით უზრუნველყოფის და მისი კეთილმოწყობისათვის. რაიონის 119 დაწყებითი სკოლიდან ნაკვეთი გამოყოფილი არა აქვს 40-ს. იმ სკოლებში, რომელთაც ნაკვეთი გამოყოფილი აქვთ, დაცული არ არის მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების დადგენილი წესი. შემოწმებულ სკოლებს სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოწყობილი არა აქვთ სასათბურო მეურნეობა და მოედანი მოსწავლეებთან ვაკეითილების და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების ჩასატარებლად. ანანურის, ბულაჩაურის, აბანოსხევისა და ბაზალეთის სკოლებს არა აქვთ კულტურების განლაგების გეგმა და განყოფილებები ზოოლოგიისა და საკოლექციო სუბტროპიკული მცენარეებისათვის.

ქობორტის საშუალო, ბაზალეთის, ბულაჩაურისა და აბანოს რეგიონების რეაქციონერი სკოლების მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობა არ დგას სათანადო დონეზე. მასწავლებლები იშვიათად იყენებენ მათთვის საინტერესო საკითხების კოლექტიურ შემოქმედებას განხილვას. განსაკუთრებით ფორმალურ ხასიათს ატარებს საწარმოო სწავლების კლასების მასწავლებელთა სასკოლო პოლიტიკური მეთოდური გაერთიანება, რომელიც ემსახურება პოლიტიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ხაზვა, ბიოლოგია), ზოგადტექნიკური და ზოგადად რომელიღაც დისციპლინების თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებლებს. ამ გაერთიანების ხელმძღვანელებად საშუალო სკოლებში, თითქმის ყველგან გამოყოფილია სასწავლო ნაწილის გამგეები საწარმოო სწავლების დარგში, რომელთაც აქვთ სპეციალური განათლება, მაგრამ არა აქვთ პედაგოგიური განათლება და სათანადო გამოცდილება, ამიტომ ისინი ვერ ანხორციელებენ მეთოდურ მუშაობაზე ხელმძღვანელობის რთულ საქმეს.

ზოგიერთ სკოლაში ცუდადაა დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, სამუშაო გეგმაში შეტანილი საკითხები ვერ ასახავენ სკოლის საქმიანობის იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვისა და, საერთოდ, სკოლის მუშაობის უშთაერესი ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდნენ. მაგალითად, ბულაჩაურის რეაქციონერ სკოლაში პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე განხილულია ბიბლიოთეკარის არჩევის, სამეურნეო კომისიის შექმნის, ჟურნალების წარმოებისა და სხვა ისეთი საკითხები, რაც ხელმძღვანელობის ამ ორგანოს ფუნქციას არ წარმოადგენს და უშუალოდ დირექტორს შეუძლია გადაწყვიტოს. სკოლას არ განუხილავს საგნების სწავლების მდგომარეობისა და საპროგრამო მასალის გავლის, წერის სახეებისა და ნორმების დაცვის, კლასის ხელმძღვანელების მუშაობის და სხვა საკითხები. ანალოგიური მდგომარეობაა დუშეთის I და ქობორტის საშუალო სკოლებში.

ნაკლოვანებებით ხასიათდება წლიური სამუშაო გეგმა დუშეთის I, ქობორტის საშუალო და ბულაჩაურისა ბაზალეთის რეაქციონერ სკოლებში: გეგმებში არ არის წინა სასწავლო წლის ანალიზი და ის ძირითადი საკითხები, რომელთაც სკოლამ მიჰქონდა სასწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს, ამასთან ზოგიერთი სკოლის წლიური სამუშაო გეგმები დაკონკრეტებას და სრულყოფას საჭიროებენ. დუშეთის I და ქობორტის საშ. სკოლების ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგ-

მა არ ითვალისწინებს კონკრეტულ საღმრთოდლო ღონისძიებებს და კლასის სპეციფიურ პირობებს. გეგმებში არ არის შეტანილი საერთო ცნობები კლასის შესახებ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ლაბორატორიების ტიპებისა და სახელოსნოების გამოყოფისა და მოწყობის საქმეს. კაბინეტები არ ივსება საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, რის გამოც კომპორტის, მკადიჯვრის საშუალო სკოლებში არ არის ნორმალური პირობები პრაქტიკული და საცდელი მუშაობისათვის. შემოწმებული 7 სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი მოწყობილი აქვს 1, ქიმიის— 1, ბიოლოგიის— 2 სკოლას. სახელოსნოებისათვის გამოყოფილი სათავსოები და მათი აღჭურვილობა კომპორტის, ანანურის და მკადიჯვრის საშუალო და ყველა შემოწმებულ რვაწლიან სკოლაში მინიმალურადაც ვერ პასუხობს მოთხოვნილებას. მოუგვარებელია სასწავლო კინოფილმების დემონსტრირების საკითხი. რაიონში არ არის შექმნილი კინობაზა, სკოლები ცუდად მარაგდებიან სასწავლო კინოკადრებით.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა. ზოგიერთი სკოლა კლასგარეშე მუშაობის ამ ღონისძიების განხორციელებისათვის კმაყოფილდება მხოლოდ გეგმის შედგენით, ხოლო მასში შეტანილი საკითხები არ არის აქტუალური და საინტერესო. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის წრის სამუშაო გეგმებში არ არის შეტანილი ახალი წიგნების განხილვის, ფოლკლორული მასალების შესწავლა-შეგროვების, მხატვრული კითხვის ორგანიზაციის და სხვა საკითხები. ნორჩ-ნატურალისტთა წრეების სამუშაო გეგმებში მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოხსენებებია გათვალისწინებული, ხოლო ცდები და დაკვირვებები, თვალსაჩინოებისათვის მასალების შეგროვება, თვითნაკეთობებზე მუშაობა და ნატურალისტური მუშაობის საუკეთესო შედეგების განზოგადება გეგმაში სრულად არ პოულობს გამოხატულებას, ანალოგიურია სხვა სასწავლო დისციპლინების საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმები.

შეუფერებელ ბანებშია მოთავსებული სასკოლო ბიბლიოთეკები. ზოგიერთ სკოლაში დაუმუშავებელია წიგნადი ფონდი, შედგენილი არ არის კლასების მიხედვით წასაკითხი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. ბიბლიოთეკაში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება მეთოდური და საბავშვო ლიტერატურა. მცირეა კლასგარეშე კითხვაში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი, არ ეწყობა მკითხველთა შეხვედრა საბავშვო მწერლებთან, ბიბლიოთეკის მუშაობა-

ში ჩაბმულნი არ არიან კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები.

სრულ წესრიგში არ არის საკლასო ჟურნალები მჭადიჯვრის საშუალო და აბანოსხევის რვაწლიან სკოლებში. ზოგიერთ ჟურნალში შეტანილი არ არის დამუშავებული მასალა და მოსწავლეების მიმდინარე შეფასების ნიშნები; გადაშლილია ზოგიერთი ჩანაწერი.

სკოლებში შექმნილია მშობელთა კომიტეტები, მაგრამ ისინი უმოქმედებას იჩენენ. მშობელთა კომიტეტები არ მონაწილეობენ სკოლის სასწავლო-ნივთიერი ბაზის კეთილმოწყობისა და განმტკიცების, სკოლიდან უპიზღვოდ გასულ მოსწავლეთა მშობლებთან შეშაობის, უსაფრთხოებისა და სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვის, მშობელთა მორიგეობის და სკოლისათვის საჭირო სხვა ღონისძიებათა გატარების საქმეში.

ზოგიერთ სკოლაში სრულ წესრიგში არ არის მასწავლებელთა და მოსწაღეთა პირადი საქმეები. მჭადიჯვრის, დუშეთის I, ჭობორტის საშუალო სკოლების მასწავლებელთა ნაწილის პირად საქმეებში არა აქვს საექიმო შემოწმების და სტაჯის ცნობა, ზოგიერთ მასწავლებელს კი აკლია სამუშაოზე დანიშვნის ბრძანების ასლი. ჭობორტის, აბანოსხევისა და ბულაჩაურის სკოლების მოსწავლეებს არა აქვთ საექიმო შემოწმების ცნობები.

ჭობორტისა და ანანურის საშუალო სკოლებთან მოწყობილია ინტერნატები, რომელთა სამეურნეო ნაგებობანი და სათავსოები ვერ უზრუნველყოფენ მოთხოვნილებას. ანანურის სასკოლოინტერნატის საძინებელი ოთახები იმდენად მცირეა, რომ თითოეულ მოსწავლეზე დაახლოებით 2-3 კვ. მეტრი ფართობი მოდის. ამასთან, სასკოლო ინტერნატის მომსახურე პერსონალის მცირე შტატი ვერ უზრუნველყოფს ინტერნატის მოსწავლეებთან სააღმზრდელო მუშაობას და მათი მოვლისა და ცხოვრების პირობებზე სადღეღამისო ზედამხედველობას.

დუშეთის რაიონის სკოლებში ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე სისტემატურად არ აწარმოებს შინასასკოლო კონტროლს, მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება სასკოლო მუშაობის დაგეგმვას, მატერიალური ბაზის განმტკიცებას და სხვ., არ ატარებს საჭირო ღონისძიებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ახვლედიანი

**საქართველოში სსრ განათლების სამინისტროს
1963 წლის 19 ივნისის ბრძანება № 496**

**1963 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების
ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ**

1963 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1963 წლის ზაფხულის პერიოდში განათლების სამინისტროს გამაჯანსაღებელ ქსელში გატარდეს 57264 ბავშვი, მათ შორის:

ა) აგარაკზე გაყვანილ იქნეს სკოლამდელი ასაკის 11518 ბავშვი, ხოლო ადგილობრივ საბანაკო სისტემაზე 11168 ბავშვი; სულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში ჩაბმულ იქნეს სკოლამდელი ასაკის 22686 ბავშვი (დანართი № 1);

ბ) გაყვანილ იქნეს აგარაკებზე სპეცსკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების 1108 აღსაზრდელი, ხოლო ადგილობრივ გამაჯანსაღებელ ობიექტებზე 1605 აღსაზრდელი (დანართი № 2);

გ) ქალაქებსა და რაიონის ცენტრებში დარჩენილ პიონერთათვის მოეწყოს საზაფხულო მოედნები (დანართი № 3);

დ) პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმებში გატარებულ იქნეს 1120 ბავშვი;

ე) საზაფხულო საექსკურსიო-ტურისტულ ღონისძიებაში გატარდეს 24745 მოსწავლე (დანართი № 4).

2. გადაეცეს პროფკავშირთა საბჭოს საავგარაკო ადგილებში პიონერთა ბანაკებისათვის სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების შენობები (დანართი № 5).

3. პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექტორებმა მოამზადონ სკოლა-სანატორიუმები საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის და შექმნან საჭირო პირობები ბავშვთა ორგანიზებულად დასვენებისათვის.

4. ბ. ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახ-
ლემ (ამხ. ჯ. კვარაცხელია):

ა) უზრუნველყოს შორეული ექსკურსიის ჯგუფების დაკომპ-
ლექტება და მათზე ხელმძღვანელობა;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს პიონერთა საზაფხულო მო-
ედნების, საქალაქო პიონერთა ბანაკების მუშაობა და აღმოუჩინოს
მათ ადგილზე კონკრეტული დახმარება;

გ) უზრუნველყოს ქალაქად და რაიონის ცენტრებში მოწყო-
ბილი პიონერთა მოედნები (საქალაქო პიონერთა ბანაკები) კადრე-
ბითა და საჭირო მომსახურებით.

5. ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგურის დირექ-
ტორმა (ამხ. მ. ერისთავი) რაიონებისა და ქალაქების განათლების
განყოფილებებისა და კომკავშირის საოლქო და რაიონულ კომი-
ტეტებთან ერთად უზრუნველყოს ზემდგომი ორგანოების მიერ
დამტკიცებული საექსკურსიო ტურისტული ლაშქრობების გეგმის
ორგანიზებულად და სათანადო წესის დაცვით შესრულება.

6. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური (ამხ. გ. ეპიტაშვილი),
ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური (ამხ. შ. მანგიაშვილი) და
ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგურის (ამხ.
მ. ერისთავი) დირექტორებმა უზრუნველყონ თავიანთი პროფილის
მიხედვით რესპუბლიკური და საქალაქო პიონერთა ბანაკები საჭი-
რო მეთოდური მითითებებით, მოკლევადიანი დაშქრობების მარ-
შრუტებითა და სათვალსაჩინო პლაკატებით.

7. აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებმა, სამხ-
რეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყო-
ფილებათა გამგეებმა ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კო-
მიტეტებთან შეთანხმებით:

ა) პიონერთა ბანაკებსა და საზაფხულო მოედნებზე სამუშა-
ოდ გაგზავნონ ნატურალისტურ, მხატვრულ და სხვა წრეებში მუ-
შაობის გამოცდილების მქონე მასწავლებლები და სხვა სპეციალის-
ტები;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ მათ ტერიტორიაზე განლაგებუ-
ლი რესპუბლიკური და საქალაქო პიონერთა ბანაკების, პიონერთა
პარკების, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბანაკების, ბაზების,
პიონერთა სახლების მუშაობა და უზრუნველყონ ბავშვთა დასვენე-
ბისა და გართობის სწორი ორგანიზაცია;

გ) რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პიონერ-
თა ბანაკებში ჩააბან სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები,
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, სახლები, პიონერთა პარ-

კები, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზები და საჭირო შემთხვევაში ზოგიერთი სახე მუშაობისა გადაიტანონ საზღვარსაღარ პიონერთა ბანაკებსა და მოედნებზე.

პროცესული

დ) პიონერთა ბანაკებსა და სატყეო სკოლა-სანატორიუმებში პირველ რიგში გაგზავნონ სამამულო ომის ინვალიდების, მრავალშვილიანი დედების, შრომის ინვალიდების ბავშვები.

8. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ საქართველოს სსრ პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნების შესაბამისად დააკომპლექტოს პიონერთა ბანაკები ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილების მქონე პედაგოგებით.

9. საგემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს საჭირო სახსრებით საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

10. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ უზრუნველყოს ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები საჭირო ინვენტარიითა და სათბობი მასალით.

11. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებმა პერიოდულად შეამოწმონ საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ცალკეული ობიექტები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ქ რ ნ ბ ი ნ ზ ე ნ ბ ი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ბაღებისა, რომლებთანაც
 ბატარდებს გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი

1963 წლის მარტი-აპრილი
 ზ ი კ ლ ი რ თ ე ა ნ

1	2 ქალაქი, რაიონი ა/რ	3 აგარაკის დასახელება	4 აგარაკზე გასაყვან ბავშვთა რაოდენობა		6 რაოდენობა იმ ბავშვებისა, რომ- ლებიც გამაჯან- საღებელ ღონის- ძიებებს საბატარ- დებს აცდილენ	7 ს უ ლ
			4	5 მ. შ. სანა- ტორიული		
1	ქ. თბილისი	სურამი	1200	135		
2	"	მანგლისი	570			
3	"	ახალუბანა	320			
4	"	წიგნითი	265			
5	"	დაბა (ბორჯომი)	100			
6	"	კოვთაძის	70			
7	"	ცაგერი	125			
8	"	ახალი უბანი (ბორჯომი)	250			
9	"	ბაკურაძის	250	135		
10	"	წაღერის	350			
11	"	ბორჯომი	215		815	
		სულ თბილისში	3715	270	815	4530
12	ქუთაისი	კობულეთი	325	100	375	
13	"	ც ც შ ი	350			
14	"	წაღერის	150			
15	"	ბაკურაძის	50			
16	"	მანინჯაურის	50			
17	"	ახალუბანა	100			
		სულ ქუთაისი	1026	100	375	1400

1	2	3	4	5	6	7
18	ქ. ფთიი	ფაბა წაღვერი	100	50	30	400
19	ქ. კიათურა	ნაკურთხე	75			
20	"	სოფ. პერეცხა (კიათურა)	50			
		სულ კიათურაში	125			
21	ქ. ჩუსთავი	კოვლირი	280			
22	"	კობულეთი	600			
23	"	ჭიშვილი	185			
24	"	მანკლისი	100			
		სულ ჩუსთავში	1165	—	—	1135
25	ქ. ზუგდიდი	სურამი	50	50	280	
26	"	ცნაკობის რ. მესხური	430	—		
		სულ ზუგდიდში	480	50	280	760
27	თელავი	—	—	—	650	650
28	ზ. მ. რ. ი.	ანდუბა	100	—	—	100
29	სამტრედიო	სურამი	105	—	50	155
30	ოციბულა	წვალტუბის რ. საწირე	75	—	80	125
31	წვალტუბი	—	—	—	200	200
32	საგარეულო	საგარეულოს ციხე-კოფა	50	—	—	50
33	მარიწყელი	თეთრიწყარო	100	—	—	100
34	ზესტაფონი	ბორჯომი	150	—	50	200
35	ა. ხ. ბ. ი.	—	—	—	125	125
36	ამბროლაურის	ქუჩობიტა შიგე	60	—	50	
37	ამბროლაურის	სოფ. ნაკობიშვილი	150	—		
		სულ ამბროლაურში	210		50	260

საქართველოს
სოფლის მეურნეობის
მინისტრო

1	2	3	4	5	6	7
38	ახალციხის რ.	კურორტი მანჯლისი	250		375	375
39	ბოლნისის რ.	ფარაჯი წყნეთი	60		75	325
40	გარდაბნის რ.	ბორჯომში	75		300	300
41	გორის რ.	სურამში	28		28	28
42	"	"				
43	"	წიფურთი	75		175	175
		სულ გორის რაიონში	175		175	350
44	გურჯაანის რ.	კ ი მ შ ი	90		150	150
45	ხუტედიის რ.	ლაგოდეხის საბელმწიფო ნაქრძალი	175		50	140
46	ფეოლის რ.	ფეოდელო "ვაზარმა"	125		150	150
47	ფეოლის რ.	"				
		სულ ფეოლის რაიონში	300		150	450
48	ღანშუღის რ.	ქობულეთი	50		30	50
49	მანაჩიძის რ.	მანაჩო	200		50	230
50	მთაკოცხეს რ.	"			300	300
51	სამტრედიის რ.	გორდი (სამტრ. რაიონი)	75			
52	"	სურამში	25			
53	"	ქობულეთი	25		23	
		სულ სამტრედიის რ-ში	125		23	148
54	სოღნაღის რ.	კურორტი კოჯორი	60			
55	"	ახალფაზა	75			
56	"	კაკული	80			
57	"	სოღნაღის რ. ბოძებ	415		325	
		სულ სოღნაღის რ-ში	630		325	955



1	2	3	4	5	6	
58	თელავის რაიონი	თელავის რ. თეთრიწყალეზა	75		68	143
59	თეთრიწყალის რ.				250	250
60	ნაშიჭის რ.				198	198
61	თიანეთის რ.				108	108
62	ცხენოსის რ.	სოფ. ლაილაში	30			
63	ცხენოსის რ.	სოფ. მუხურთი	25		240	265
64	ვახტანგის რ.				100	100
65	გვამბეკორის რ.	სოფ. საღბინო (გვამბეკორის რ.)	143			
66	გვამბეკორის რ.	სურამი	100		25	
		სულ გვამბეკორში	263		25	288
67	აბაქაძელაქი				100	100
68	ფეშტიის რ.				150	150
69	ფეშტიის რ.	შენაში (ფეშტიის რ.)	65		90	155
70	მეგრის რ.				80	80
71	მეგრეთების რ.				75	75
72	სამხერის რ.	ქობულეთი	110		40	150
73	ხესტადონის რ.				157	157
		აფხაზეთის ასსრ				
		აფხაზეთის ადგილობრივ კერძობურ	620		3912	3532
		აჭარის ასსრ				
74	ბათუმის	ა. ბაქურიანი	75			
75	ბათუმის	ს უ რ ა მ ი	75			
76	ბათუმის	შაშინჯაღრაი	80	80	1000	
		სულ აჭარის ასსრ	230	80	1000	1230
		სამხრეთი ოსეთის ა/რ				
77	ცხინვალი	ჯაფა ს. ზეცუ	800		275	1075
		სულ ჩრდილოეთში	11518	550	11168	22686



ქ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეცსკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებისა, რომლებთანაც 1963 წლის ზაფხულში ჩატარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი

№	სპეცსკოლა-ინტერნატის საბავშვო სახლის დასახელება	აგარაკის დასახელება	აღსაზრდელთა რაოდ.		Σ
			აგარაკზე გასაყვანი	აღვილებ გამაჯანსაღ. ღონ. გადამ. ბავშვ.	
1	2	3	4	5	6
1	ჭ. თბ. უსინათლოთა სკოლა-ინტ.	ახლდაბა	50	—	50
2	ბათუმის საბავშვო სახლი	(ხულოს რ.) ბეშუმი	100	—	100
3	ლენინგორის საბ. სახლი			95	95
4	თბილისის ვაკის საბ. სახლი	ბორჯომი	70	—	70
5	კოჯრის 1 საბ. სახლი (გარდაბნის რ.)			90	90
6	„ 2 „ „			83	83
7	„ 3 „ „			115	115
8	„ 4 „ „			110	110
9	„ 5 „ „			150	150
10	„ 6 „ „			102	102
11	ნორიოს საბ. სახლი			120	120
12	ჭ. რუსთავეის საბ. სახლი	ბორჯომი	150	—	150
13	ჭიათურის (საჩხერის რაიონი)	კობულეთი	64	—	64
14	ჭ. ბორჯომის „ (გურჯაანის რ.)			67	67
15	ახალქალაქის საბ. სახლი (გორის რ.)			69	69
16	ონის საბ. სახლი (ამბროლაურის რ.)	საგლოლა	60	—	60
17	ენჭერის საბ. სახლი (სამტრედიის რ.)	სურამი	65	—	65



საქართველოს
ხელნაწილების

1	2	3	4	5	6
18	სახეწერის საბ. სახლი (სახეწერის რ/ც)	ბორჯომი	90	—	90
19	თელავის საბ. სახლი (თელავის რ.)			68	68
20	შუამთის საბ. სახლი (თელავის რ.)			110	110
21	ვაშლივანის საბ. სახლი (თეთრიწყაროს რ.)			91	91
22	სურამის საბ. სახლი (ნაჭურის რ.)			145	145
23	ჩოხატაურის საბ. სახლი (მანარაძის რ.)	ბანზარო	59	—	59
24	ჭ. მანარაძის სკოლა-ინტერნატი .	ბანზარო	100	—	100
25	თბილისის № 6 სკოლა-ინტ. . . .	თიანეთი	200	—	200
26	წახინჯაურის საბ. სახლი			100	100
27	თბ. № 2 სკოლა-ინტერნატი	თიანეთი	100	—	100
28	ზედარგანის სკოლა-ინტერნატი .			40	40
29	კარდანაზის საბ. სახლი			90	90
ს უ ლ			1108	1605	7213



კონსტანტინე

იმ მოსწავლეებისა, რომლებიც უნდა გატარდნენ 1963 წელს
ზაფხულში გამაჯანსაღებელ მოედნებზე

1. აფხაზეთის ასსრ	600
2. აჭარის ასსრ	500
3. სამხრეთ ოსეთის	400
4. ქ. თბილისი	1500
5. ქ. ქუთაისი	500
6. ქ. ფოთი	200
7. ქ. ჭიათურა	200
8. ქ. რუსთავი	200
9. ქ. გორი	100
10. ქ. ბორჯომი	100
11. ქ. ზესტაფონი	100
12. ქ. ზუგდიდი	150
13. ქ. კასპი	100
14. ქ. სამტრედია	200
15. ქ. თელავი	150
16. ქ. ტყიბული	150
17. ხაშური	100
18. ცხაკაია	100
19. ამბროლაური	100
20. ახალციხე	100
21. გურჯაანი	100
22. ლანჩხუთი	100
23. მახარაძე	150
24. სიღნაღი	100


6000

ქ ო ნ ბ ი ნ ზ ი ნ ბ ი



ამ მოსწავლეებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საექსპერსიო-ტურისტულ ბაზებში და მშობლიური მხარის სასწავლებლებში) მიზნით მოწყობილ ღაშქრობებში 1963 წლისათვის

1	შეკრების ადგილი	ბავშვების რაოდენობა მათ შორის ნაკლებად				შეკრების დღეების რაოდენობა	დასვლის თარიღი
		ს უ ლ	ივნისი	ივლისი	აგვისტო		
სულ რეაბილიტაციაში მათ შორის	—	24745	5180	12030	7535	—	—
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტი	თბილისი	600	200	200	200	30	15/VI
თბილისის ჭიონგეთისა და მოსწავლეობის სასახლე	თიანეთი	60	—	60	—	20	30/VI
თბილისის განათლების განყოფილების საბორტული ბანაკი	თბილისი	625	250	250	125	25	1/VI
ა დ ნ ა ზ ე თ ი ს ა ს ს რ მათ შორის	—	3000	500	1700	800	10	1/VI
სოხუმის ბავშვთა საექსპერსიო-ტურისტული ბაზა	სოხუმი	1000	300	500	300	10	" "
ა ქ ა რ ი ს ა ს ს რ მათ შორის	—	2500	300	1500	600	10	1/VI
ბათუმის ბავშვთა საექსპერსიო-ტურისტული ბაზა	ბათუმი	500	—	300	200	10	10/VI

1	2	3	4	5	6	7	8
სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი						 საქართველოს VI რესპუბლიკის	
ნათ შირის	—	1000	400	300	300		
ცხენავლის ბავშვთა საექსკურსო-ტურისტული ბაზა	ცხენავლი	450	100	250	100		

ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზები და ნოტი ტურისტთა შეკრება

ქუთაისის	ქუთაისი	600	100	330	200		
თელავის	თელავი	400	100	200	100		
ბორჯომის (შეგრებასთან ერთად) .	ბორჯომი	1200	100	600	500		
გორის	გორი	600	100	300	200		
ქიათურის	ქიათურა	400	100	200	100		
ფოთის	ფოთი	400	100	200	100		
ზუგდიდის	ზუგდიდი	400	100	200	100		
მცხეთის	მცხეთა	600	150	300	150		
თბილისის	თბილისი	1500	500	500	500		

განათლების განყოფილებების, კომპაგნოტული ორგანიზაციების მიერ მშობლიური მხარის შეხვედრის მიზნით მიწვობილი ღაშქობები და ექსკურსიები

1. თბილისი	თბილისი	600	200	200	200	10	1/VI
2. ქუთაისი	ქუთაისი	800	100	400	300	"	"
3. ფოთი	ფოთი	150	25	100	25	"	"
4. თელავი	თელავი	300	50	150	100	"	"
5. გორი	გორი	100	25	50	25	"	"
6. ქიათურა	ქიათურა	100	25	50	25	"	"
7. თელავი	თელავი	70	—	50	20	"	"
8. ბორჯომი	ბორჯომი	70	—	50	20	"	"
9. საგარეჯო	საგარეჯო	50	—	25	25	"	"
10. ზესტაფონი	ზესტაფონი	70	—	35	35	10	10/VI



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

1	2	3	4	5	6	7	8
11. ხუდოდი	ხუდოდი	70 *	—	35	35		
12. კასი	კასი	50	—	25	25		
13. სამტრედია	სამტრედია	50	—	25	25		
14. ტყაბული	ტყაბული	60	—	30	30		
15. წყალტუბო	წყალტუბო	50	—	25	25		
ამბროლაურის რ-ნი	ამბროლაური	200	45	100	55		
ახალქალაქის	ახალქალაქი	300	75	150	75		
ახალციხის	ახალციხე	400	90	200	110		
ბოლნისის	ბოლნისი	400	100	170	130		
ვარციხის	ვარციხე	180	20	50	110		
გუგუთის	გუგუთი	280	40	180	60		
გორის	გორი	300	100	100	100		
გურჯაანის	გურჯაანი	350	150	100	100		
ღუშეთის	ღუშეთი	360	50	210	100		
ზესტაონის	ზესტაონი	310	30	150	150		
ხუდოდის	ხუდოდი	410	30	230	180		
ყაზბეგის	ყაზბეგი	100	20	50	30		
ყვარლის	ყვარლი	310	50	180	80		
ღანსულის	ღანსულის	150	30	70	50		
ღვინტუბის	ღვინტუბი	200	25	90	85		
მანაჩაძის	მანაჩაძე	370	55	120	195		
მესტიის	მესტია	100	25	50	25		
მაიაკოვსკის	მაიაკოვსკი	280	55	140	85		
სამტრედია	სამტრედია	350	50	150	150		
სამხურის	სამხურე	720	200	320	200		
სოღნაღის რ-ნი	სოღნაღი	200	50	100	80	10	10/VI
თელავის	თელავი	230	50	100	80		
თეთრიწყაროს	თეთრიწყარო	200	50	100	50		
თიანეთის	თიანეთი	135	40	70	25		
ხაშურის	ხაშური	480	130	250	100		
ცაგერის	ცაგერი	135	40	70	25		
ცხაკაის	ცხაკაია	300	55	150	95		
წყალტუბოს	წყალტუბო	500	100	220	180		

ტ

ს ი ა

იმ სკოლები და სკოლა-ინტერნატები, რომლებიც გადაეცა
სსრ პროფკავშირთა საბჭოს 1968 წლის ზაფხულის პერიოდში
პიონერთა ბანაკებისათვის

ჭაშურის რაიონის სურამის 1-ლი საშუალო სკოლა
ჭაშურის რაიონის ახალდაბის საშუალო სკოლა
ქ. თელავის მე-3 საშუალო სკოლა
დუშეთის რაიონის საგურამოს სკოლა-ინტერნატი
ჭაშურის რაიონის ტაშისკარის სკოლა-ინტერნატი
აფხაზეთის ახსრ

ოჩამჩირის საშუალო სკოლა
გულრიფშის სკოლა-ინტერნატი
ვახუშტის სკოლა-ინტერნატი
სოხუმის სკოლა-ინტერნატი

აჭარის ახსრ

ჭაჭვის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი
ჭაჭვის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლა
ქალიბაურის (ბათუმის მე-3) სკოლა-ინტერნატი

ი ნ ს ზ რ უ ჯ მ ი ა

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, სალამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, სალამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატების და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების ერთიანი წესის შემოღების მიზნით სახალხო განათლების ორგანოებს და სკოლებს ევალებათ იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით.

1. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადება, გაცემა და ანგარიშგება

1. საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათლების მოწმობები, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის და მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტები, იბეჭდება ერთიანი რიგითი ნუმერაციით მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეკვეთით.

2. საშუალო განათლების ატესტატების და რვაწლიანი განათლების მოწმობების დაკარგვა-გატაცების თავიდან ასაცილებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გამოყოფილი სპეციალური პირი სისტემატურ კონტროლს უწევს საშუალო განათლების ატესტატების და რვაწლიანი განათლების მოწმობების ბეჭდვის, დაბეჭდილი ატესტატებისა და მოწმობების სათანადოდ დაცულ ადგილას შენახვის და მათი მიღება-გაცემის საქმეში მტკიცე ანგარიშგების დაყენებას.

3. საქართველოს ასრ განათლების სამინისტროდან საშუალო განათლების ატესტატებს და რვაწლიანი განათლების მოწმობებს ანგარიშქვეშა ლებულობენ მხოლოდ ასა რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებები რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებები ატესტატებს ლებულობენ განაცხადისა და საშუალო განათლების ატესტატზე ჩატარებული გამოცდების სათანადოდ გაფორმებული ოქმების წარმოდგენის შემდეგ, ხოლო რვაწლიანი განათლების მოწმობებს — კურსდამთავრებულთა სიების მიხედვით (სკოლების ჩვენებით); ამასთან მიმღებს უნდა პქონდეს სათანადო მინდობილობა.

აკრძალულია ატესტატებისა და მოწმობების მისაღებად მინდობილობის მიცემა ისეთ პირთათვის, რომლებიც სახალხო განათლების სისტემაში არ მუშაობენ.

4. ასრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ-ოსეთის ა/ო განათლების განყოფილება საშუალო განათლების ატესტატებსა და რვაწლიანი განათლების მოწმობებს აძლევენ კურსდამთავრებულთა მიხედვით რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს, ხოლო რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებები ატესტატებსა და მოწმობებს აძლევენ კურსდამთავრებულთა მიხედვით სკოლებს. მოწმობა-ატესტატებს ლებულობს სკოლის დირექტორი.

5. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების შეესებას აწარმოებს სკოლა. საშუალო განათლების ატესტატისა და რვაწლიანი განათლების მოწმობის ორივე მხარე (ქართული და რუსული) უნდა შეივისოს ყველა კურსდამთავრებულზე სუფთად, გარკვეული ხელით და შავი ტუშით.

6. საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათლების მოწმობები, როგორც მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტები, რეგისტრაციაში ტარდება საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვის წიგნებში (დანართი № 1 და № 3) ასრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ. საშუალო განათლების ატესტატების და რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვის წიგნები უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და დამოწმებული:

ა) ასრ განათლების სამინისტროს საშუალო განათლების ატესტატების და რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვის წიგნები — სკოლების განყოფილების უფროსის ხელის მოწერით და ლუქის ბეჭდის დასმით;

ბ) სამხრეთ-ოსეთის ა/ო, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებების საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვის წიგნები—სათანადო განათლების განყოფილების გამგის ხელის მოწერით და ლუქის ბეჭდის დასმით:

გ) სკოლების საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვის წიგნები—განათლების განყოფილების გამგის ხელის მოწერით და ლუქის ბეჭდის დასმით.

7. გასაცემი საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათლების მოწმობები რეგისტრაციაში ტარდება საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ჩასაწერ წიგნებში (დანართი № 2 და № 4), რომლებიც უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყოფილი და შემოწმებული რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის ხელის მოწერით და ლუქის ბეჭდის დასმით. კურსდამთავრებულნი საშუალო განათლების ატესტატისა და რვაწლიანი განათლების მოწმობის მიღებაზე ხელს აწერენ: ატესტატის მიმღები—საშუალო განათლების ატესტატების ჩასაწერ წიგნში, ხოლო მოწმობის მიმღები—რვაწლიანი განათლების მოწმობების ჩასაწერ წიგნში.

8. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვისა და ჩასაწერი წიგნები (დანართი № 1, № 2, № 3 და № 4), აგრეთვე ყველა ის დოკუმენტი (შემოსავალ-გასავლის დანართები, მინდობილობები და ხელწერილები, რომელთა საფუძველზე მიღებული ან გაცემულია საშუალო განათლების ატესტატები, რვაწლიანი განათლების მოწმობები) ინახება როგორც ფულადი დოკუმენტები ცეცხლგამძლე ყუთში და სახალხო განათლების განყოფილების ან სკოლის ხელმძღვანელთა შეკვლისას აქტივ ბარდება ახალ ხელმძღვანელს საქმეების გადაბარების დროს. აქტივში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული მოწმობა-ატესტატების გაცემისა და ანგარიშგების მდგომარეობა.

9. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დაკარგვის შემთხვევაში ასრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფილებები და სკოლები დაუყოვნებლივ აცნობებენ ამის შესახებ განათლების ზემდგომ და მილიციის ადგილობრივ ორგანოებს დაკარგული მოწმობა-ატესტატების ნომრების ჩვენებით და დაწვრილებითი აღწერით, თუ რა პირობებში მოხდა მოწმობა-ატესტატების დაკარგვა.

10. საშუალო განათლების ატესტატები და რვაწლიანი განათ-

ლების მოწმობები გამოცდების დამთავრებისთანავე ივსება და სათანადოდ ფორმდება ყველა კურსდამთავრებულზე, ტარდება საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ჩასაწერ წიგნებში და ურიგდებათ კურსდამთავრებულთა ლებს.

რაიზე მიზეზის გამო კურსდამთავრებულზე გაუყეველი ატესტატი ან მოწმობა (შევსებული) მოთხოვნამდე უნდა ინახებოდეს იმავე სკოლაში, ამ ინსტრუქციის მე-8 პარაგრაფის მიხედვით.

შენიშვნა: საშუალო განათლების ატესტატი და რვაწლიანი განათლების მოწმობა არც განათლების განყოფილებაში და არც სკოლაში არ უნდა ინახებოდეს შეუვსებელი სახით.

11. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ჩასაწერ წიგნებში შეტანილი სიის ბოლოს ხელს უნდა აწერდნენ სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და არა ნაკლებ სამი მასწავლებლისა. საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების ჩასაწერ წიგნებში გადასწორება ან ამოშლა (ამოფხეკა) დაუშვებელია. აუცილებელი შესწორება და შემდეგი ჩანაწერები მოწმობა-ატესტატის გაცემის შესახებ დადასტურებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული პირების ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით.

12. რვაკლასდამთავრებული მოსწავლის სახელი, მამის სახელი და გვარი მოწმობაში იწერება მთლიანად დაბადების მოწმობის ან პასპორტის საფუძველზე. ამავე დოკუმენტების საფუძველზე იწერება აგრეთვე რვაკლასდამთავრებულის მოწმობაში დაბადების წელი (დაბადების თვე და რიცხვი მოწმობაში არ იწერება).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრეთვე დაბადების ადგილი, რიცხვი, თვე და წელი შეიტანება საშუალო განათლების ატესტატში მხოლოდ პასპორტის ან დაბადების მოწმობის საფუძველზე (სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და თვე იწერება მთლიანად).

13. რვაწლიანი განათლების მოწმობაში მთლიანად უნდა იქნეს ნაჩვენები: სკოლის ტიპი, სადაც მოსწავლემ დაამთავრა რვაკლასი (რვაწლიანი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი, საღამოს (ცვლის), დაუსწრებელი) სკოლის ნომერი და მისი ადგილმდებარეობა (სოფელი, ქალაქის ტიპის დასახლება, ქალაქი, რაიონი, ოლქი, ასსრ). საშუალო განათლების ატესტატშიც აგრეთვე მთლიანად უნდა იქნეს

ნაჩვენები სახელწოდება და ადგილმდებარეობა სკოლისა, რომელიც მოსწავლემ დაამთავრა.

14. რვაწლიანი განათლების მოწმობაში და საშუალო სკოლის მოწმობაში ატესტატში შეფასება თითოეულ სასწავლო საგანშია დასაზღვევად და ციფრით და ფრჩხილებში სიტყვით, მაგალითად: „ართიმეტ-კაში—5 (ფრიადი)“, „ლიტერატურაში —4 (კარგი)“, „ქიმიაში —3 (დამაკმაყოფილებელი)“ (დანართი № 6).

15. საშუალო განათლების ატესტატში და რვაწლიანი განათლების მოწმობაში რაიმეს ამოშლა და შესწორების შეტანა დაუშვებელია. რვაწლიანი განათლების მოწმობას ხელს აწერენ სკოლის დირექტორი და არანაკლებ მერვე კლასში მომუშავე სამი მასწავლებლისა. საშუალო განათლების ატესტატს ხელს აწერენ სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და არანაკლებ სამი მასწავლებლისა, რომლებიც გამოსაშვებ კლასებში ატარებდნენ გამოცდებს.

რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლების ატესტატი მოწმდება დოკუმენტის გამცემი სკოლის ღერბიანი ბეჭდით. ამ დოკუმენტში გრაფის გამოტოვება, ამოფხეკა და შესწორება დაუშვებელია. მოწმობასა და ატესტატში სკოლის ღერბიანი ბეჭედი უნდა იყოს დადგენილი ნიმუშის, გარკვეულად და ადვილად ამოსაკითხი.

მე-12—15 მუხლებში ჩამოთვლილი მოთხოვნილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლების ატესტატი ითვლება არაკანონიერად.

16. საშუალო განათლების ატესტატის ან რვაწლიანი განათლების მოწმობის შეგვების დროს შეცდომის დაშვების ან რაიმე მიზეზით მათი გაფუჭების შემთხვევაში სკოლამ უნდა შეადგინოს სათანადო აქტი, შეამოწმოს სკოლის ბეჭდით და სამაგიერო ატესტატის ან მოწმობის მისაღებად რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების საშუალებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინოს გასაუქმებელი ატესტატი და აქტი.

II. სკოლის დამთავრებაზე თავის დროზე გაუცემელი, არახწორად გაფორმებული და დაკარგულის ნაცვლად ახალი ხაბუთების გაცემის შესახებ

17. ატესტატის ან მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, სკოლის კურსდამთავრებულს ეძლევა დუბლიკატი, რომელიც ივსება

საშუალო განათლების ატესტატების ან რვაწლიანი განათლების მოწმობების ჩასაწერი წიგნების მიხედვით.

18. დაკარგული ან თავის დროზე მიუღებელი ატესტატების მოწმობის ნაცვლად მოწმობა-ატესტატის ან დუბლიკატის გაცემა იმ პირებზე, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს 1935 წლიდან 1944 წლამდე (ჩათვლით) ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში ან არქივში მოიპოვება სრული და უტყუარო ცნობები (ნიშნების ჩათვლით) განმცხადებლის მიერ სკოლის დამთავრების შესახებ.

19. დუბლიკატი გაიცემა ბლანკზე, რომლის ზემო მარჯვენა კუთხეში დაისმის შტამპი წარწერით „დუბლიკატი დაკარგულის ნაცვლად“.

20. იმ პირთ, რომლებმაც 1944 წლამდე (ჩათვლით) დაამთავრეს სკოლა და რაიმე მიზეზის გამო ატესტატი ან მოწმობა ვერ მიიღეს, თუკი არქივში მოიპოვება მათ მიერ სკოლის დამთავრების სრული ცნობები ეძლევათ: საშუალო სკოლის კურსის დამთავრებულს ჩვეულებრივი სახის ატესტატი, მიუხედავად იმისა, დამთავრებული აქვს „ფრიაღზე“ თუ არა, ხოლო 7 და 8 კლასდამთავრებულს—მოწმობა.

შენიშვნა: როდესაც შესაცვლელია 1944 წლამდე (ჩათვლით) კურსდამთავრებულის ატესტატი ან მოწმობა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებამ დამატებით უნდა წარმოადგინოს არქივის ცნობა განმცხადებლის მიერ სკოლის დამთავრების შესახებ ნიშნების აღნიშვნით.

21. იმ პირთ, რომლებმაც 1944 წლამდე (ჩათვლით) დაამთავრეს სკოლის კურსი და მიღებული ატესტატი ან მოწმობა დაკარგეს, დაკარგვის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, თუკი არქივში მოიპოვება მათ მიერ სკოლის დამთავრების სრული ცნობები (ნიშნების ჩათვლით), ეძლევათ საშუალო სკოლის კურსდამთავრების ჩვეულებრივი ატესტატი მიუხედავად იმისა, დამთავრებული აქვთ „ფრიაღზე“ თუ არა, ხოლო 7 ან 8 კლასდამთავრებულს—მოწმობა შემდეგი წარწერით:

„დუბლიკატი დაკარგულის ნაცვლად“.

22. იმ პირმა, რომელსაც უმალღესმა სასწავლებელმა ან დაწესებულებამ დაუკარგა ატესტატი ან მოწმობა, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას უნდა წარუდგინოს უმალღესი სასწავლებლიდან ან დაწესებულებიდან გაცემული ბეჭედდასმული ცნობა დოკუმენტის დაკარგვის შესახებ.

23. იმ პირმა, რომელმაც ატესტატი ან მოწმობა თვითონ დაკარგა, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას უნდა წარუდგინოს დოკუმენტი ატესტატის ან მოწმობის დაკარგვის შესახებ.

24. ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებმა ატესტატის ან მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ შუამდგომლობა უნდა გადაუგზავნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს არქივის ცნობა კურსის დამთავრების შესახებ (ნიშნების აღნიშვნით) და ატესტატის ან მოწმობის დაკარგვის დამადასტურებელი საბუთი.

25. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო დუბლიკატის გაცემის საკითხს აყენებს სამინისტროს კოლეგიის წინაშე. საკითხის დადებითი გადაწყვეტის შემთხვევაში სკოლების სამმართველო ატესტატის ან მოწმობის ბლანკს განმცხადებელზე გასაცემად სამინისტროს სპეციალური ნაწილის საშუალებით უგზავნის ასსრ განათლების სამინისტროს, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, რაიონისა ან ქალაქის განათლების განყოფილებას.

შენიშვნა: მოწმობის ან ატესტატის დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ ერთხელ. განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა არაფიქრითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან დუბლიკატის მეორედ გაცემა.

26. როდესაც არქივში მოიპოვება განმცხადებლის მიერ საშუალო სკოლის ან რვა (შვიდი) კლასის დამთავრების დამადასტურებელი საბუთი გარდა ნიშნებისა (კურსდამთავრებულთა სია, პედსაბჭოს დადგენილება, ატესტატის ან მოწმობის სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ ატესტატის ან მოწმობის მიღების ფაქტს და სხვა), ასეთ პირს ეცლევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამზადებული სპეციალური ნიმუშის მოწმობა. მოწმობა-ბლანკის გამოთხოვა ხდება იმავე წესით, როგორც დუბლიკატის გამოთხოვისას.

27. 26-ე პარაგრაფში აღნიშნული მოწმობის გაცემა ევალდებათ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებს, რომლებიც ვალდებული არიან აწარმოონ მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია ისევე, როგორც ატესტატის გაცემის დროს.

28. როდესაც არქივში განმცხადებლის მიერ საშუალო სკოლის ან რვა (შვიდი) კლასის დამთავრების დამადასტურებელი საბუთი არ მოიპოვება, სპეციალური ნიმუშის მოწმობა გაიცემა გან-

მცხადებლის სამი ყოფილი მასწავლებლის წერილობითი დადასტურების საფუძველზე (დანართი № 5) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არქივი განადგურებულია (ხანძარი, არქივის გატყვევება და სხვ.).

განმარტებულია

ყოფილი მასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით უნდა დაადასტუროს იმ დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელშიც ამჟამად მუშაობს იგი. დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა შეამოწმოს (შრომის წიგნაკისა და სხვა საბუთების გასინჯვით), რომ სკოლის დამთავრების დამადასტურებელი პირი იმ დროს იმ სკოლის გამოსაშვებ კლასში ნამდვილად ასწავლიდა თუ არა.

29. ამ ინსტრუქციის 26-ე, 27-ე და 28-ე პარაგრაფები ვრცელდება როგორც 1935 წლამდე საბჭოთა სკოლის კურსდამთავრებულებზე, აგრეთვე რევოლუციამდე იმ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებზე, რომლებიც გათანაბრებულია საშუალო სკოლასთან.

30. დუბლიკატზე ხელს უნდა აწერდეს დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებლები (არანაკლებ სამისა) და დასმულ უნდა იქნეს სკოლის ბეჭედი.

31. თუ ატესტატის, მოწმობისა და დუბლიკატის გაცემის მომენტში სკოლის სასწავლო-ადმინისტრაციული და პედაგოგიური შემადგენლობა შეცვლილია, დოკუმენტს ხელს აწერს გაცემის მომენტში მომუშავე დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და სამი მასწავლებელი (პედსაბჭოს წევრები), რომლებიც ეყრდნობიან იმ მონაცემებს, რაც საფუძვლად დაედო დუბლიკატის გაცემას.

32. როდესაც საჭიროა გაიცეს გაუცემელი ატესტატი, მოწმობა ან დუბლიკატი, ხოლო სკოლა, რომელიც განმცხადებელმა დამთავრა, აღარ არსებობს ან რეორგანიზებულია, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება აღნიშნული დოკუმენტის გაცემას ავალებს იმ სკოლის დირექტორს, სადაც ყოფილი სკოლის არქივი ინახება; თუ კი საბუთები რაიარქივში ინახება—ერთ-ერთ საშუალო სკოლის დირექტორს; ამ შემთხვევაში დოკუმენტს ხელს მოაწერს სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, სამი მასწავლებელი და დაისმის რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბეჭედი.

33. სკოლის დამთავრების დოკუმენტების მიღების, გაცემის, შენახვისა და ანგარიშგების საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში სკოლების სამმართველოს უფროსს, ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტრო-

ებში—მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებაში—განათლების განყოფილებათა გამგეობა, სკოლებში—სკოლის დირექტორებს.

34. სასკოლო ინსპექტორები განათლების განყოფილებებში სკოლების ყოველი შემოწმების დროს კონტროლს უწივენ ამ ინსტრუქციის შესრულებას.

როდესაც ატესტატებისა და მოწმობების აღრიცხვის საქმეში გამოვლინდება უწესრიგობა და დაუდევრობა, სასკოლო ინსპექტორები ღებულობენ ზომებს დამნაშავეის პასუხისგებაში მისაცემად.

სკოლების სამმართველო



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვის

ნ ი ბ ნ ი

(ასსრ, ა/ოლკი, რაიონი, კლასი)

(საშუალო სკოლა)

ՀՀ հոգ.	Կենտրոնի հաշվապահ և հմտիչ	հասցեն	Նպաստը
---------	------------------------------	--------	--------

Ի Ն Ե Ն Ե Ի Ի Ի Ի Ի

1. ԻՆՏ ԳՆԱՊՈՒՆԵՆ ԻՆՏԵՆՏԻՆԻ ԵՎ ԻՆ

1	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001—00000	20	Նպաստը ԿԵՆՏՐՈՆԻ ԻՆ ԳՆ- ՊՈՒՆԵՆ ԻՆՏԵՆՏԻՆԻՆԻ 1963 ՆՅԻ 20/VI-Ի ԳՆԱՊՈՒՆ ԳՆՆԻՄՈՒ Ի 54
---	---	----	---

2. ԻՐՈՆԻՆ (ԿՅԱԼԻՆ) ԳՆԻ

1	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001—00000	5	Նպաստը ԿԵՆՏՐՈՆ ԻՐՈՆԻՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆԻՆ 1963 Ն. 20/VI-Ի ԳՆԱՊՈՒՆ ԳՆՆԻՄՈՒ Ի 7
---	---	---	---

3. Ի Կ Ո Ւ Ե

1	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001—00000	2	Նպաստը ԳՅԱՆ ԻՐՈՆԻՆԻ ԳՆԱՊ- ՈՒՆԵՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆԻՆ 1963 Ն. 20/VI-Ի ԳՆԱՊՈՒՆ ԳՆՆԻՄՈՒ Ի 3
---	---	---	---

ՀՀ հոգ.	Կենտրոնի հաշվապահ և հմտիչ	հասցեն	 ՀԱՅԿԱՅԱՍՏԱՆԻ ՀՈՑԱՐԱՐՈՒՄԻՆԻ ԿՄԻՏԵ	ՀՀ հոգ.
---------	------------------------------	--------	---	---------

Ն Ո Ց Ն Ն Ն Ն Ն

ԳՆԱՊՈՒՆԵՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆԻՆԻ

1	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001—00000	5	Նպաստը ԳՅԱՆ ԻՐՈՆԻՆԻ ԳՆԱՊ- ՈՒՆԵՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆԻՆ 1963 ՆՅԻ 20/VI-Ի ԳՆԱՊՈՒՆ ԳՆՆԻՄՈՒ Ի 54	45
2	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001—00000	7	Նպաստը ԿԵՆՏՐՈՆԻ ԻՐՈՆԻՆԻ ԳՆ- ՊՈՒՆԵՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆԻՆ 1963 Ն. 20/VI-Ի ԳՆԱՊՈՒՆ ԳՆՆԻՄՈՒ Ի 8	36

ՊՈՒՆԵՆ ԳՆԱՊՈՒՆԵՆԻՆԻ

1	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001 և Ի 00000	2	Նպաստը ԿԵՆՏՐՈՆ ԿՅԱՆ ԳՆԱՊՈՒՆԻՆ 1963 Ն. 20/VI-Ի ԳՆ- ՊՈՒՆ ԳՆՆԻՄՈՒ Ի 3	3
---	---	---	--	---

Ի Կ Ե Մ Ն Ա Յ Ե Լ Ի

1	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00001	1	Նպաստը ԳՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻՆԻ ԳՆԱՊ- ՈՒՆԵՆ (ԻՆ ԿԵՆՏՐՈՆԻՆԻ ԻՆՏԵՆՏԻՆԻ ՆՅԻՆ)	1
2	Ինտըր գնառւելն Իճ- ՆԵՃԻ ԻՄԻՆ ՆԵՃԻՆ ՀՀ 00000	1	Նպաստը ԿԵՆՏՐՈՆԻՆԻ ԿՅԱՆ ԳՆԱՊՈՒՆ (ԻՆ ԿԵՆՏՐՈՆԻՆԻ ԻՆՏԵՆՏԻՆԻ ՆՅԻՆ)	1



ბეჭდით შემოწმებულია _____ გვერდი
(სიტყვით)

_____, რაიონის (ქალაქის)
განათლების განყოფილების გამგე

ბ. ა.

_____ 19 ____ წ.

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვის წიგნის წარმოების შესახებ

1. საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვის წიგნს აწარმოებს თითოეული განათლების განყოფილება და საშუალო სკოლა.

2. მიღებული და გაცემული ჩვეულებრივი, ოქროს მედლის და ვერცხლის მედლის ატესტატების რაოდენობა წიგნში ცალცალკე აღირიცხება მათი ნომრების აღნიშვნით.

3. წიგნი შეტანილი უნდა იქნეს საქმეების აღწერაში, საგანგებოდ ინახებოდეს და აქტით ჩაბარდეს განათლების განყოფილების ან სკოლის მიღება-გადაბარების დროს.

4. წიგნის თითოეული გვერდი უნდა დაინომროს, გაეყაროს ზონარი, დაესვას ლუქის ბეჭედი და შემოწმდეს რაიონის, (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის ხელის მოწერით.

5. ჩანაწერები წიგნში უნდა კეთდებოდეს მხოლოდ მელნით და გარკვეულად.

6. ჩანაწერები წიგნში კეთდება მითითებული ნიმუშების შესაბამისად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

კურსდამთავრებულებზე გასაცემი საშუალო განათლების ატესტა-
ტების ჩასაწერი

ნ ი ბ ნ ი

(ასსრ, ა/ოლქი, რაიონი, ჭლაჭი)

(საშუალო სკოლა)


საშუალო განათლების აქტის
კოდონისა და ყოფილი
საქონლის
სახელწოდება

რიგ. №№	ატესტატის №	კურსდამთავრებულის გვარი, სახელი და მამის სახელი	დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი	საშუალო განათლების აქტის კოდონისა და ყოფილი სახელწოდება										
				ქართული ენა	ქართული ლიტერატურა	რუსული ენა	რუსული ლიტერატურა	მშობლიური ენა	მშობლიური ლიტერატურა	აღგებრა	გეომეტრია	ტრიგონომეტრია	სსრ კავშირის ისტორია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
1	000001	1963 წ. გამოშვება კეხელი დავით დურმიშხანის ძე	ქ. თბილისი, 1945 წ. 28 აპრილი	5	5	5	5	—	—	5	5	5	5	
2	000375	ზედგინიძე პეტრე ივანეს ძე	სოფ. სახანო, ზესტაფონის რაიონი. 1945 წ. 5 იანვარი	3	4	3	3	—	—	4	4	3	5	
3	000376	ვაშაკიძე ვაჟა პეტრეს ძე	ს. ქრთლი ზესტაფონის რაიონი 15/VIII 1945 წ.	5	4	3	3	—	—	4	5	4	4	
4	000377	ამბარცუმიათი არშაკ ვართანის ძე	ქ. თბილისი 4 სექტემბერი 1944 წ.	4	4	3	4	4	4	4	4	3	5	

ტში ნაჩვენები ცნობები

ქვეის წარმატება

15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	
მსოფლიო ისტორია	საზოგადოებრივი ცოდნება	ფიზიკა	ასტრონომია	ქიმია	ბიოლოგია	გეოგრაფია	ურბო ენა	ხევა	ფიზიკური კულტურა	წარმოების საფუძვლები					ყოფაქცევა	დაჯილდოება		
	5	5	5	5	5	5	5	5	5	5					5	ოქროს მედლით	1963 წ. 6 ივლისი	საშუალო განათლების ატესტატი ოქროს მედლის მივიღე დ. აფხელი 1963 წ. 10 ივლისი
	4	3	4	4	5	3	4	4	5	4	4				5	—	1963 წ. 5 ივლისი	საშუალო განათლების ატესტატი ჩვეულებრივი მივიღე პ. ზედგინიძე 1963 წ. 5 ივლისი
	4	5	3	3	4	3	4	4	4	3	3				5	—	1963 წ. 29 ივნისი	საშუალო განათლების ატესტატი ჩვეულებრივი მივიღე ვ. ვაშაკიძე 1963 წ. 5 ივლისი
	3	4	5	5	4	3	3	5	4	3	4				5	—	1963 წ. 27 ივნისი	საშუალო განათლების ატესტატი ჩვეულებრივი მივიღე ა. ამბარცუმიაი 1963 წ. 5 ივლისი



აღნიშნულ წიგნში დანომრილი, ზონარგაყრილი და ლუქის
ბეჭდით შემოწმებულია _____ გვერდი
(სიტყვით)

_____ რაიონის (ქალაქის) განათლების
განყოფილების გამგე

ბ. ა.

„ _____ ” 19 _____ წ.

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

კურსდამთავრებულებზე გახაცემი საშუალო განათლების ატესტატების ჩახაწერი წიგნის წარმოების შესახებ

1. საშუალო განათლების ატესტატების ჩახაწერ წიგნს აწარმოებს თითოეული საშუალო სკოლა.

2. წიგნი შეტანილი უნდა იქნეს საქმეების აღწერაში, საგანგებოდ ინახებოდეს და აქტივ ჩაბარდეს სკოლის მძღება-გადაბარების დროს.

3. წიგნის თითოეული გვერდი უნდა დაინომროს, გაეყაროს ზონარი, დაესვას ლუქის ბეჭედი და შემოწმდეს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის ხელის მოწერით.

4. წიგნში იწერება სრული ცნობები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შესახებ დასათაურების მიხედვით.

5. მოსწავლეთა გამოშვების წელი ჩაიწერება მე-3 სვეტში, შუა ადგილას, შემდეგ კი შეიტანება ამ წელს კურსდამთავრებულთა გვარი, სახელი და მამის სახელი.

6. მე-5—25-ე სვეტებში ჩაიწერება შეფასება ატესტატში აღნიშნული საგნების მიხედვით.

7. 26-ე—28-ე სვეტები—სათადარიგოა.

8. 29-ე სვეტში ჩაიწერება ყოფაქცევის შეფასება.

9. 30-ე სვეტში ჩაიწერება ცნობები დაჯილდოების შესახებ: „დაჯილდოებულია ოქროს (ან ვერცხლის) მედლით“, ან ხაზი გაისმება.

10. 31-ე სვეტში ჩაიწერება ატესტატის გაცემაზე პედსაბჭოს დადგენილების წელი, თვე და რიცხვი (ამის საფუძველს წარმოადგენს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ყველა გამოცდის დამთავრების შემდეგ).

11. 32-ე სვეტი განკუთვნილია საშუალო განათლების ატესტატის მიმღების ხელის მოსაწერად. ატესტატის მიმღები წერს: „საშუალო განათლების ატესტატი ოქროს მედლის მივიღე. დავით ქუჩელი, 10 ივლისი, 1963 წელი“.

12. ატესტატის დუბლიკატის გაცემაც ჩაიწერება ამავე წიგნში.
სვეტში „ხელის მოწერა მიღებაზე“ მიმღები წერს: „დუბლიკატი
დაკარგულის ნაცვლად მივიღე ამა და ამ რიცხვში, თვისა და
წელს“, ხელის მოწერა.

13. ექსტერნატის წესით გამოცდაჩაბარებულებიც შეიტანები-
ან ამავე წიგნში, სადაც 30-ე სვეტში იწერება: „ექსტერნი“.

14. წიგნში შეტანილი ყველა კურსდამთავრებულის სიის ბო-
ლოში (სია დგება წინასწარ, ატესტატის მიღების დროის მიუხედა-
